140
2005

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკადული

# საქართველოს ყოჩაღები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. თაყაიშვილის სახ. №2 გიმნაზია, IV კლასი, ხელმძღვანელი დეა გვალია



გ. თაყაიშვილის სახ. №2 გიმნაზია, IV კლასი, ხელმძღვანელი ეკა სისაური



გ. თაყაიშვილის სახ. №2 გიმნაზია, II კლასები, ხელმძღვანელები თამარ შავლაძე და ქეთი კიკვიძე



გ. თაყაიშვილის სახ. №2 გიმნაზია, III კლასი, ხელმძღვანელი ეკა ჩილაჩავა



მარიამ ჯოხაძე



სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“, III კლასი, ხელმძღვანელი ნათელა სვანიძე



ნინო ნიკოლაიშვილი

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №5

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნიადაგზე აღიზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

ე. თაყაიშვილის სახელობის გიმნაზია ---------- 3
„ოდოიშხერი“ ---------- 6,13,18,22
თ. ჩალაური – უჟიათი (მოთხრობა) ---------- 7
პოეზიის მარგალიტები – გ. ლეონიძე ---------- 11
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 14
დღეს ჩვენ გიამბობთ სპილოებზე (ბუნების კარი) ---------- 15
ნუმეროლოგიური ანუ პითაგორას ჰოროსკოპი ---------- 19
„მაგარი“ გამოგონებები ---------- 20
გალამაზდით! (ექიმი-კოსმეტოლოგის ლამარა ცუცქირიძის რჩევები) ---------- 21
კარლ გაუსი – მათემატიკოსთა მეფე ---------- 24
სტიქია და ადამიანი ---------- 27
ტესტი ---------- 28
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იფილო-ბიფილო ---------- 32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## ამერიკული გიმნაზიის ქართველი კურსდამთავრებულების ზეიმი

წელს თბილისში არსებული ამერიკული გიმნაზია 38 მოზარდმა დაამთავრა. ბოლო ზარის ზეიმი მათთვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა კურსდამთავრებულები და უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისა და მასზე ზრუნვისკენ მოუწოდა. იგივე უსურვა ქართველ ახალგაზრდებს აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა. ამერიკული გიმნაზიის 16 კურსდამთავრებულმა უკვე მიიღო მიწვევა ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სასწავლებლად.

## ცვლილებები საქართველოს სომხურენოვანი სკოლების პროგრამებში

გამომდინარე განათლების სისტემის რეფორმების მოთხოვნილებიდან, საჭირო ხდება ქვეყნის არაქართული სკოლების პროგრამებში კორექტივების შეტანა. სწორედ ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე ითათბირეს საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსულმა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სერგო ერეციანმა და მისმა ქართველმა კოლეგამ ალექსანდრე ლომაიამ. გადაწყდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული სომხურენოვანი სკოლების პროგრამების გადახალისებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სომეხი სპეციალისტები დაეხმარებიან.

## სასკოლო ფორმები ბრუნდება

წელს ბათუმის სკოლებში სასკოლო ფორმის აღდგენის საპილოტე პროგრამა ამოქმედდება. ბავშვებს ფორმები უფასოდ დაურიგდებათ, იმ შემთხვევაში თუ საპილოტე პროგრამა ბათუმში გაამართლებს, ის მთელ აჭარაში ამოქმედდება, ხოლო თუ სასკოლო ფორმები ბათუმსა და აჭარაში დაინერგება, ეს პროგრამა მთელ საქართველოში გავრცელდება.

## ზურიკო საკანდელიძის სახელობის ტურნირი

რამდენიმე წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული ჭაბუკი კალათბურთელის ზურიკო საკანდელიძის ხსოვნას მიეძღვნა მიხეილ კეკელიძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სკოლის დარბაზში გამართული ტურნირი. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის ზურაბ საკანდელიძის ვაჟიც ამ სკოლის მოსწავლე და საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი იყო დაღუპვამდე. 1993 დაბადებულთა გუნდებს შორის მთავარი პრიზი „იმედმა" მოიპოვა, მეორე ადგილზე ზაზა ფაჩულიას სახელობის გუნდი „ზაზა" გავიდა (ორივე ოლიმპიური რეზერვის სკოლა), მესამე ადგილი კი „კაქტუსს" ხვდა წილად. 1992 წლიანებში საუკეთესო „მართვეს" პირველი გუნდი იყო, რომელმაც ფინალში თავისივე მეორე გუნდი დაამარცხა, მესამე ადგილი კალათბურთის აკადემიის აღსაზრდელებს ერგოთ.

## საქველმოქმედო კონცერტი „კათარზისში"

ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის საიუბილეო დღეს თბილისის 163-ე სკოლის მოსწავლეები საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „კათარზისის" ბინადრებს ესტუმრნენ, მიულოცეს მათ ეს დღე, საჩუქრად პროდუქტებიც მიუტანეს და საქველმოქმედო კონცერტიც გაუმართეს. ხანდაზმულმა ადამიანებმა სიამოვნებით მოისმინეს მოსწავლეების მიერ შესრულებული ომისდროინდელი თუ თანამედროვე სიმღერები.

# ექვთიმე თაყაიშვილის სახელობისა



ლალი მღარიაშვილი

გიმნაზიისთვის სახელის მისანიჭებლად ღირსეულ ერისკაცთა შორის არჩევანი წმინდა ექვთიმე თაყაიშვილზე რომ შეაჩერეს, ამით განსაზღვრეს განათლების ამ კერის მესვეურებმა მისი დანიშნულებაც, მიზნებიც და ის გზაც, რომლითაც უნდა ევლოთ მოსწავლეეებსაც და მასწავლებლებსაც. საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, თავისი ერის განძს დაჰკანკალებდა, მრავალი წელი უვლიდა და იცავდა მას, რათა სამშობლოსთვის დაებრუნებინა იგი. ასეთივე აუწონავი განძია თბილისის ე. თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის მასწავლებლებისთვის სკოლაში შემოსული ყოველი ბავშვი, რომლის განათლება, ცოდნა, სულიერება ქვეყნის საგანძურს უნდა შეემატოს და გაამდიდროს იგი, ამიტომაც ცდილობენ დღიდან გიმნაზიის დაფუძნებისა, რაც შეიძლება ფასეული იყოს მათი ნასათუთევი განძი.

თავის დროზე, მსგავსად თბილისის კიდევ რამდენიმე სკოლისა, ამ სასწავლებელმაც ნიმუშად სკოლის გერმანული მოდელი აირჩია და ალბათ ამიტომაც მოიხსენიებენ მათ ზოგჯერ გერმანულებად. ეს სკოლები საბჭოთა სკოლების ანტიპოდად იყო ჩაფიქრებული და ერთგვარი დაპირისპირება იყო ხავსმოდებული განათლების სისტემისადმი, ეს კი პირველი და იმ დროისთვის დიახაც თამამი ნაბიჯი იყო ამ სისტემის ძირეული რეფორმისაკენ. №2 გიმნაზიას დღესაც ატყვია ერთგვარი გერმანული ელფერი, ამ ელფერს ინტენსიურობა გერმანელ მეგობრებთან ურთიერთობამ შესძინა, რომელსაც სათავე გასული საუკუნის ოციან წლებში ჩვენმა ღირსეულმა მამულიშვილებმა კონსტანტინე გამსახურდიამ და რაფიელ ნიჟარაძემ დაუდეს. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ერთმაც და მეორემაც ბერლინში გააგრძელეს სწავლა, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა ცნობილი ლინგვისტი რიჰარდ მეკელაინი, რომელიც 60-მდე ენასა და დიალექტს ფლობდა. 40 წლის ასაკში ეს საოცარი ადამიანი ქართული ენითაც დაინტერესდა, ცოცხალი პრაქტიკის მისაღებად ქართველი სტუდენტები გაიცნო, დაუახლოვდა მათ, მალე კი ეს ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა. რიჰარდ მეკელაინმა გამსახურდიასა და ნიჟარაძეს ორი შვილი მოანათლინა. რ. ნიჟარაძე ბერლინის ოპერის პრიმადონაზე დაქორწინდა და მასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. 1937 წელს ის როგორც „სამშობლოს მოღალატე“ შუა აზიაში გადაასახლეს, მისი ახალგაზრდა მეუღლე კი დააპატიმრეს და ბაქოს ციხეში ჩასვეს, სადაც ის დარდისგან და შეურაცხყოფისაგან გატეხილი 3 თვეში გარდაიცვალა. გადასახლებაში რ. ნიჟარაძემ გაიცნო შარლოტა ისარლიშვილი (მისი მეუღლე 1937 დახვრიტეს). ბედუკუღმართობამ დააახლოვა ეს ორი ადამიანი, ისინი შეუღლდნენ და 1955 წელს რეაბილიტაციის შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ. ისინი კერძო მოსწავლეებს ამეცადინებდნენ და ამით ირჩენდნენ თავს. მათი ერთ-ერთი მოსწავლე გახლდათ დარეჯან მგალობლიშვილი, რომელიც დღეს №2 გიმნაზიაში ფიზიკას ასწავლის. 1966 წ. რ. ნიჟარაძის მოწვევით თბილისს ეწვია მისი ნათლული, რიჰარდ მეკელაინის უფროსი ვაჟიშვილი, შტუტგარტის უნივერსიტეტის პრორექტორი, ეკონომიკური გეოგრაფიის მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტი ვოლფგანგ მეკელაინი ესტუმრა. ამ ვიზიტისას ბატონმა რაფომ სტუმარს თავისი საყვარელი მოსწავლე დ. მგალობლიშვილიც გააცნო, სწორედ მაშინ დაიბადა ორმხრივი სურვილი, რომ მეკელაინის უფროს შვილიშვილს, ანგელიკა კაიზპოლდს და დარეჯან მგალობლიშვილს ერთმანეთი გაეცნოთ. მიმოწერით დაწყებული ამ ორი ადამიანის ნაცნობობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა, ხოლო 1968 წ. შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე მოწვეული პროფესორ მეკელაინს მისი დისწული ანგელიკა კაიზპოლდიც ჩამოჰყვა. ეს იყო მეგობრების პირველი შეხვედრა, მერე და მერე შეხვედრებმა რეგულარული ხასიათი მიიღო. ანგელიკა კაიზპოლდი ევანგელისტურ ეკლესიასთან არსებული გუნდის მომღერალია და მან გერმანიაში მასთან სტუმრად ჩასული ქართველი მეგობარი გუნდის რეპეტიციაზე მიიპატიჟა. ქალბატონმა დარეჯანმა გერმანელებს ქართული „მრავალჟამიერის“ ნოტები უსახსოვრა, მათ სიამოვნებით შეისწავლეს ეს ქართული სიმღერა, გუნდის ხელმძღვანელმა, შტეფან ლააშმა კი რომელიმე ქართულ მოყვარულ მომღერალთა გუნდთან დამეგობრების სურვილი გამოთქვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დ. მგალობლიშვილმა გიმნაზიის დირექტორს მასწავლებლების, მშობლების და გიმნაზიის მეგობრებისაგან გუნდის ჩამოყალიბების იდეა შესთავაზა და უკვე 1996 წ. ოქტომბერში ეს გუნდი ქალაქ ბად-ჰომბურგს ეწვია. ასე გაიბა გერმანულ-ქართული მეგობრობის ძაფები, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა 1997 წ. ოქტომბერში, როცა გერმანელთა გუნდი საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა თბილისში.

ამ ვიზიტისას ისინი №2 გიმნაზიასაც ეწვივნენ, სადაც მოსწავლეებმა შესანიშნავი კონცერტი გაუმართეს. სამშობლოში დაბრუნებულმა გერმანელებმა გადაწყვიტეს შეექმნათ გიმნაზიის დახმარე-



23692



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საზოგადოება, ამ გადაწყვეტილებას სულ მალე შეასხეს ფრთები, 1998 წ. 28 მაისს ქ. ფრანკფურტში მოეწყო საზოგადოების **Taunus Tiflis** პრეზენტაცია, საზოგადოების წესდებაში მრავალ ღონისძიებასთან ერთად ქართველი მოსწავლეების გერმანიაში სასწავლებლად მიწვევაც არის გათვალისწინებული.

1998 წ. ოქტომბერში გიმნაზიის 7 პედაგოგი და 2 მოსწავლე კვლავ ეწვია გერმანიას. ამ ვიზიტის პროგრამაში ჰომბურგის გიმნაზიებისა და საშუალო სკოლების მონახულება, გერმანელი კოლეგების მუშაობის, სწავლების მეთოდიკების გაცნობა, გაკვეთილებზე დასწრებაც შედიოდა. მასპინძლებმა ქართველები დასაჩუქრებულები გამოისტუმრეს, საზოგადოებამ — „თაუნუს-თბილისი №2 ქართული გიმნაზიის დახმარების ფონდი" — გიმნაზიას აჩუქა **Sharp**-ის ფირმის ასლგადამღები აპარატი.

საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელის აზიმ ვაკერის ინიციატივით გიმნაზია დაუმეგობრდა ქ. შტირშტადტის სკოლას, გიმნაზიის პედაგოგ-მოსწავლეთა ჯგუფები რამდენჯერმე ეწვივნენ მეგობრებს, გაეცვნენ მათ სასკოლო ცხოვრებას და ბევრი სასარგებლო რამ გაიგეს. მეგობრობის ჩარჩოებში ამ ორი წლის წინ გერმანიაში შედგა შემოქმედ და ხელოვან პედაგოგთა გაცნობა, კონცერტი და გამოფენა. გერმანელ კოლეგებს და მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ეხილათ № 2 გიმნაზიის კურსდამთავრებულის და ამავე გიმნაზიის ხატვის მასწავლებლის ანი ჩიკვილაძის ნამუშევრები, მოესმინათ კიდევ ერთი ყოფილი გიმნაზიელის, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტის ლიკა საჩალელისთვის. სწორედ მაშინ მიიღეს მასპინძლებისგან ერთი ასეთი ორიგინალური წინადადება: ქართველ მხარეს უნდა უზრუნველეყო გერმანელი კომპოზიტორის მათიას ლიუფლერის ხუთი საბავშვო სიმღერის ტექსტის ქართულად თარგმნა, მერე კი ქართველი ბავშვები ქართულადვე შეასრულებდნენ ამ სიმღერებს. თუმცა რითმული წყობის გამო სირთულეებმა იჩინა თავი, საბოლოოდ ტექსტი მშვენივრად შეეწყო მუსიკას და სულ მალე გერმანიაში მიიღეს დისკი მეხუთეკლასელების, ანანო გამყრელიძის, ელენე ხოშტარიას, ნანა ავალიანის და სალომე ტეტიაშვილის შესრულებით (კონცერტმეისტერი თამარ ჭელიძე), გ. ჯაიანის სტუდიაში ჩაწერილი გერმანული სიმღერებით. გერმანელი მეგობრები აღფრთოვანებულები დარჩნენ და მადლობის წერილთან ერთად შემოთვალეს, რომ დებულების თანახმად, **CD** გერმანიაში გაიყიდება, შემოსული თანხა კი მთლიანად გადაირიცხება თბილისის №2 გიმნაზიის განვითარებისა და დახმარების ფონდში. მერე და მერე გერმანელი მეგობრების დახმარებამ უფრო მიზანმიმართული ხასიათი მიიღო, რომლის შედეგი სასიკეთოდ დაეტყო სკოლის შენობასაც, საკლასო ოთახებსაც და კაბინეტებსაც და შესაბამისად უშუალოდ სწავლების პროცესსაც — აღდგა სპორტდარბაზი, კლუბი, მოწესრიგდა სანტექნიკა, გამოიცვალა ფანჯრები, მერხები, სკამები, დაფები, რეგულარულად შემოდის სხვადასხვა სახის ლიტერატურა და სხვა.

აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს ის მხარში დგომა, ყურადღება და დახმარება, რომელსაც გიმნაზიისადმი და უშუალოდ მისი დირექტორისადმი უბანი, მისი მოსახლეობა იჩენს (გიმნაზია ს. ჩიქოვანის ქუჩაზე მდებარეობს). ყოველივე ეს ცხადია, ხელს უწყობს იმ კურსის



განუხრელად გატარებას, რომლის ერთგული რჩება გიმნაზია აგერ უკვე 16 წელია. აქ ბევრად ადრე დაიწყეს იმ სიახლეების დანერგვა, რასაც დღეს ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს. გიმნაზიის დირექტორი ქალბატონი ლალი მწარიაშვილი და მისი თანამოაზრე ახალგაზრდა პედაგოგები თამამად შეეჭიდნენ განათლების სისტემაში ფესვგადგმულ დოგმებს, დაანგრიეს სიახლეთა დანერგვის ხელისშემშლელი ზღუდეები და ენერგიულად შეუდგნენ ახალი მიდგომების, მეთოდიკების დამკვიდრებას, გადახალისებული პროგრამებით სწავლებას, ეძებდნენ, გამოცდილებას აგროვებდნენ და როცა ქვეყანაში საგანმანათლებლო რეფორმის მოთხოვნები და მიზნები გამოიკვეთა, აღმოჩნდა, რომ №2 გიმნაზიაში წინსწრებით გაუტარებიათ ეს რეფორმა. დასტურად მხოლოდ რამდენიმე მომენტს გამოვკვეთავთ — აქ კარგა ხანია დაწყებითი კლასებიდანვე აჩვევენ ბავშვებს დამოუკიდებელ აზროვნებას, ეხმარებიან დისკუსიის, არგუმენტირებული კამათის უნარის გამომუშავებას, ცოდნასთან ერთად, უნარ-ჩვევებითაც აიარაღებენ მათ, ახორციელებენ აქტიური სწავლა-სწავლების პრინციპს ანუ სწავლების პროცესში თვითონ მასწავლებლებიც სწავლობენ. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აისახა ეროვნული მიზნებისაკენ მიმართული სწავლა-აღზრდის ამგვარი სისტემის შედეგები გიმნაზიადამთავრებული ახალგაზრდების მომავალზე, რამდენად ეხმარება მათ გიმნაზიაში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოვრების გზის არჩევაში, საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში, ქალბატონი ლალის სიტყვებს მოვიშველიებთ: „ჩვენი მოსწავლეები გამოირჩევიან სილაღით, თავისუფლებით — ამასთან ეს თვისებები არასდროს გადაიზრდება უზრდელობაში — ისინი ლოგიკურად აზროვნებენ, თავისუფლად აყალიბებენ და გამოთქვამენ საკუთარ აზრს. ცოდნასთან ერთად მათ უთუოდ ეს თვისებებიც ეხმარება სხვადასხვა სახის კონკურსებში თუ ტურნირებში წარმატებების მოპოვებაში. ბევრი ჩვენი კურსდამთავრებული უპრობლემოდ აგრძელებს სწავლას გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში, ისეთებიც მრავლად გვყავს, ვინც თარჯიმნად თუ რეფერენტად მუშაობს, ვინც თამამად იმკვიდრებს ადგილს შოუბიზნესში, რამდენიმე მათგანი კი მშობლიურ გიმნაზიაში დაბრუნდა და დღესაც აქ საქმიანობს. მინდა ასეთი შემთხვევაც გავიხსენო — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ჩვენმა ერთ-ერთმა მოსწავლემ ისეთი კითხვა დაუსვა მას, რომ ქალბატონმა ნინომ კმაყოფილება ვერ დამალა, ნეტავ, პარლამენტარები დამისვამდნენ ასეთ საზრიანსა და ჩამოყალიბებულ კითხვასო..."

ამა თუ ის საკითხებისადმი თანამედროვე, პრაგმატული მიდგომის, გიმნაზიისთვის სასარგებლო შედეგის განჭვრეტის ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია შპს „მთვარის გლობუსთან" დამყარებული საქმიანი ურთიერთობა. გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად, „მთვარის გლობუსმა" (დირექტორი გ. მაისურაძე) ივალდებულა მე-2 გიმნაზიის ტერიტორიაზე არსებული მისი კუთვნილი მინიფეხბურთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედნების საკუთარი ხარჯებით შემოღობვა-კეთილმოწყობა, გიმნაზისტების ფიზიკური მომზადება და მათი ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, გიმნაზიამ კი თავის მხრივ ივალდებულა გარკვეულ საათებში საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად დაუთმოს მას აღნიშნული სპორტული მოედნები, უამინდობის შემთხვევაში — ფიზაღზრდის დარბაზი. შეთანხმებამ ორივე მხარისთვის ურთიერთსასარგებლო ნაყოფი გამოიღო, საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი საქვეყნო საქმეს — ბავშვების ფიზიკურ გაჯანსაღებას და ქართული ფეხბურთის აღორძინებას წაადგება.

სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტეგრაციის ჩარჩოებში №2 გიმნაზიამ რამდენიმე წელია, ურთიერთობა დაამყარა ძეგვის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერთან არსებულ ბავშვთა ცენტრთან. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პედაგოგი თამარ ჩხიკვაძე ხშირად ჩადიოდა ძეგვში და ბავშვებს ბიოლოგიის გაკვეთილებს უტარებდა. გიმნაზიის მოსწავლეებიც ჩადიოდნენ სტუმრად ძეგვში, სპექტაკლებს, კონცერტებს, და საერთო სპორტულ ღონისძიებებს მართავდნენ. ქალბატონი თამარის მსგავსი ენთუზიასტები ცენტრის აღსაზრდელებს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში აძლევდნენ ცოდნას, მაგრამ დადგა იმ აღსაზრდელთა პრობლემა, რომლებმაც დამამთავრებელი კლასის ასაკს მიაღწიეს და კოლეჯსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა პროფესიების დაუფლება მოინდომეს. ამისათვის მათ აუცილებლად ესაჭიროებოდათ შესაბამისი საფეხურის განათლების დამადასტურებელი მოწმობა და სწორედ ამ მიზნით საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით 2003-2004 სასწავლო წლიდან აღნიშნული ბავშვთა ცენტრის მოზარდთა გარკვეული ნაწილი მე-2 გიმნაზიის მოსწავლე გახდა და დღეს ისინი გიმნაზიის სხვა მოსწავლეების თანაბრად არიან ჩართულები აღზრდა-განათლების პროცესში.

წმ. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მე-2 გიმნაზია ერთ-ერთი იმ სკოლათაგანია, სადაც ჭადრაკს საგნად ასწავლიან. ეს ექსპერიმენტი აქ ექვსი წლის წინათ უშუალოდ დირექტორის წინადადებით დაიწყეს. ქალბატონმა ლალიმ, რომელიც შესანიშნავი მწვრთნელის შოთა ინწკირველის მოწაფე გახლავთ, ჭადრაკი აღზრდის საქმეში ჩააყენა, მოიწვია გამოცდილი მწვრთნელ-მასწავლებელი ქეთევან აბაშიძე, გამოჰყო საათები და 64-მა უჯრამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გიმნაზისტთა სწავლა-აღზრდის პროცესში.

ჭადრაკის სწავლება რამდენიმე ამოცანას ისახავდა მიზნად, კერძოდ, საერთო აკადემიური მოსწრების ამაღლებას, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას და სელექციას. გიმნაზია დღეს არა ერთი ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭადრაკით იწონებს თავს, მათ შორის კი მეოთხეკლასელი პირველთანრიგოსანი ლაშა კაჭარავა გამოირჩევა, რომელმაც თბილისის წლევანდელ ჩემპიონატში თანატოლებს შორის III ადგილი დაიკავა, კიდევ ერთი მესამე ადგილი ლაშამ წელს თებერვალში დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ სწრაფი ჭადრაკის ტურნირში მოიპოვა. გოგონებს შორის კი ამავე ჩემპიონატში ასევე პირველთანრიგოსანმა, მეხუთე კლასის მო-



სწავლემ სალომე ბიგაშვილმა გამოიჩინა თავი, რომელიც მხოლოდ ორ მეტოქეს ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა. დიდ იმედებს ამყარებენ მწვრთნელ-მასწავლებლები ნ. ქელბაქიანზე, თ. მგელაძეზე, ლ. კუციაზე, გ. ბაზღაძეზე, გ. ჯელიაზე, გ. შეყლაშვილზე (ყველანი V კლ.), გ. ბურდულზე, ლ. ხორხელზე, გ. კობერიძეზე, გ. ბეკოშვილზე, მ. მითაიშვილზე, ს. მალაციძეზე, ც. კალანდაძეზე (III კლასი); ახლო მომავალში ალბათ მეორეკლასელები: წულუკიძე, წიკლაური, სესიაშვილი, ჭყონია, თოფურია, ბოლქვაძე, აგრეთვე ვ. ვახტანგიძე, დ. გოგილაშვილი, დ. ფოცხვერია, ნ. ჩიქოვანი, თ. შუბითიძე, დ. ჭუბაბრია, ა. კაკალაშვილი, ნ. გოგინავაც გამოიჩენენ თავს და გიმნაზიასაც ასახელებენ და მასწავლებლებსაც.

წელს ქალბატონი ლალის ინიციატივით, მწვრთნელ-მასწავლებლებმა სწავლების პროცესში სიახლე შეიტანეს — ჭადრაკის გაკვეთილები ბავშვებს კომპიუტერის დახმარებით უტარდებათ. ამ პროგრამით სწავლება უფრო სწრაფი, ეფექტური და ხალისიანი გახდა. კომპიუტერის დახმარებით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ამოხსნან სხვადასხვა სირთულის ამოცანები, ეთამაშონ კომპიუტერს, განივითარონ სხვადასხვა ინტელექტუალური უნარები, მეხსიერება, ფანტაზია, ყურადღება, ლოგიკა და სხვა.

№2 გიმნაზიის მასწავლებლების გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული დონის გათვალისწინებით მათ ინტენსიურად რთავენ სხვადასხვა პროექტებში. მათგან ოთხი, დირექტორის ჩათვლით, განათლების რეფორმის მწვრთნელია და ქმედითი წვლილი შეაქვს საქართველოს სკოლებში ახალი მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში. ალბათ ყოველივე ამის გათვალისწინებითაც შეარჩიეს ახლახან იმ ხუთ სკოლას შორის №2 გიმნაზიაც, სადაც საერთაშორისო ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი უნდა განხორციელდეს. პროექტი ბავშვებში ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, როგორიცაა ადამიანის პატივისცემა, თანადგომა, სწრაფვა მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ.

ცხადია, ყოველივე ამის გაძღოლას საქმისადმი თავდადებული, განათლებული, გონიერი, ენერგიული, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული, მაძიებელი ხელმძღვანელი სჭირდება და სწორედ ასეთი გახლავთ გიმნაზიის დირექტორი ლალი მწარიაშვილი, ხოლო თუ ამ თვისებებს გულისხმიერებას, სითბოს, სიკეთეს და სიყვარულსაც დავუმატებთ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ ქალბატონის მეტ-ნაკლებად სრული პორტრეტი მოვხაზეთ და მაინც სკოლის თუ გიმნაზიის დირექტორის ავ-კარგიანობას უწინარეს ყოვლისა მოსწავლეები აფასებენ. ე. თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის 2004 წლის გამოშვების მეთერთმეტეკლასელებმა თავიანთი დირექტორის შეფასება მოკლედ და კონკრეტულად საკუთარი ხელით დამზადებულ დიპლომში ჩამოაყალიბეს, რომელიც სახსოვრად დაუტოვეს ქალბატონ ლალის: „თბილისის ე. თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის 2004 წ. გამოშვების მეთერთმეტეკლასელები გაჯილდოვებთ ნომინაციაში „ყველაზე კარგი დირექტორი“ გამარჯვებისათვის და გისურვებთ 100 წლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის მოსწავლეთა შემოქმედებას

## დილა

გათენდა და ცხრათვალა მზემ ამონათა. ჩიტებმა დაიწყეს ჭიკჭიკი. ფუტკრები სკიდან გამოძვრნენ და ბზუილით გაფრინდნენ ყვავილებისაკენ. უცებ წვიმა წამოვიდა. მზე პირს იბანდა, თან გვიღიმოდა. მისი ქმარი — ბატონი მთვარე და შვილები — ვარსკვლავები კი ღამით გვინათებენ.

**ფიქრია ქიქოძე,** I კლასი.

## მზე

დილა ამოხტა, ღამე ჩაგორდა და მზემ გაათბო მთელი ქვეყანა. კაშკაშა მზემ პირი დაიბანა, ყველა ყვავილი გაიშალა და ყველა ჩიტმა გალობა დაიწყო.

გამოვიდნენ ბავშვები და მზის სხივებს შეეგებნენ. ცოტა ხანში მზემ ძალა მოიკრიბა და კმაყოფილმა ჩამოხედა ქალაქს და გაახსენდა, რომ ძილის დრო იყო. ჯერ ხის წვერზე ჩამოსკუპდა, მერე ტოტებს მიედო, მერე ბუჩქებსაც სხივი მოსდო, ყვავილებს ხელი გადაუსვა და მინდორს დაემშვიდობა.

## ჩემი ოთახი

მე ძალიან მიყვარს ჩემი ოთახი. ფანჯრიდან ჩანს ცა, კუს ტბის ფერდობი, "მზიურის" და ზოოპარკის საქანელები. ზოგჯერ ოთახს ძალიან ვწეწავ. დედა მეუბნება, ოთახს ჩამოგართმევო, მაგრამ ვიცი, ვერ წამართმევს, ზურგზე ვერ მოიკიდებს.

**ანასტასია ასათიანი,** I კლასი

## ჩემი დედიკო

ჩემი დედიკო არის ყველაზე ლამაზი, მას მე ვერავინ შემიცვლის, რადგან მან გამაჩინა. მე ის ძალიან მიყვარს და ვიცი, რომ მასაც ძალიან ვუყვარვარ.

**ელენე ბებერაშვილი,** I კლასი

* * *

მე კი არ მტკივა,
თვითონ ვარ ტკივილი,
თვითონ ვარ ტირილი,
გინდაც მტკიოდეს,
გინდაც ვტიროდე,
ოღონდ სამშობლოს
არა სტკიოდეს.

**ვახტანგ ვახტანგიძე,** VIბ კლასი

## ღამიდან დილამდე

ცაზე მთვარეა,
ღამის წყვდიადი ჯერაც არ დამრულა,
მას ვერ უგრძვნია,
რომ ეს დღე უკვე გასულა.
მეფობს თავისთვის და ვერ ხვდება,
რომ უკვე დღეა,
და რომ წყვდიადში რაც იმალება,
ისევ მზეა.
მაგრამ ერთი წამიც და
ღამე მოგვწყდება თვალიდან,
და აორთქლდება სიბნელე,
ბნელით მოცული ღამიდან.
და ჩვენ უეცრად მივხვდებით,
რომ ღამე არის გასული,
და წინ წამოდგა ბრწყინვალე,
სინათლე ცამდე ასული.

**ანი ყალაბეგაშვილი,** V² კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მოთხრობა

თენგიზ ჩალაური

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

# უჯიათი



ვინ შეარქვა პირველად ეს ზედმეტსახელი, აღარავის გვახსოვს, უთუოდ უფროსკლასელთა დამსახურება იყო. ნამდვილი სახელი სანდრო ერქვა, გვარი კი პოლონური ჰქონდა — ტრიპოლსკი, თუმცა გარეგნობით ვაზის ძირში გაზრდილი კახელი გლეხი გეგონებოდათ — შავტუხა, ძვალმსხვილი და ნაჯაფარხელებიანი.

ბოტანიკას გვასწავლიდა, ანდა, სიმართლე თუ გნებავთ, უნდა ესწავლებინა, ჩვენ კი, მაშინდელ მეექვსეკლასელებს, როგორც ახლანდელების უმეტესობას, თავში ოფოფები გვესხდა და მუხლებში — ქარი. მოკლედ, ტყუილად ირჯებოდა.

ერთი კია, უჯიათის გაკვეთილ ერთ გრძელ დასვენებად მიგვაჩნდა, რადგან ისიც ჩვენსავით დაუდგრომელი და მოუსვენარი აღმოჩნდა. მერხზე გაყურსულად ჯდომა და ქეჩოს ქექვა ჭირის დღესავით ეჯავრებოდა, არც გაკვეთილის ახსნა-განმარტებებითა და დავალებების მოცემით იღლიდა თავს.

ზომაზე მეტად უცნაური კაცი იყო, სხვა პედაგოგთაგან სრულიად განსხვავებული, ახირებული და ჯიუტი.

პირველად გაკვეთილის ჩასატარებლად რომ შემოვიდა, იმის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდით. დედაქალაქიდან ორიოდ წლის გადმოსული იყო. ბოროტი ენები ამბობდნენ, გაქირობის გამო დაითხოვეს იქიდანო; ვერ მოარჯულეს და გამოაბრძანესო. ზოგი ამტკიცებდა, თავისი ნებით არის წამოსული, ბოტანიკოსი სოფელს მეტად ესაჭიროებაო; სხვა კიდევ სხვას ამბობდა და რა ვიცი, რალას არ ლაყბობდნენ.

მაშინ ჩვენი სკოლა ერთი პატარა, მოცუცქნული ქალაქის განაპირა უბანში იდგა, ქალაქი კი არა, დაბა, ან მოზრდილი სოფელი უფრო ეთქმოდა; თუმცა ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდგომ, სულ სხვაა. ჩვენი სასწავლებელიც ამჟამინდელ ცენტრშია გამოჭიმული.

ჰო, იმ პირველ გაკვეთილზე ვამბობდი, თავიდანვე გაგვაოცა. ვიცოდით, მკაცრი არ იყო, არც მომთხოვნი და მით უმეტეს არც ვინმეს დამსჯელ-დამტუქსველი. შემოსვლისთანავე ასეც გვითხრა: — ახლა მომისმინეთ, მერე საითაც გაგიჭენდეთ, იქით გაუტიეთ, არც მე ვარ თქვენი შემწუხებელი და ნურც მე გამომაბამთ ძაღლის ყბასო, — თქვა, დაჯდა, ფანჯარაში გაიხედა და ორმოცი წუთი ისე ილაპარაკა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩვენთვის.

გვარიანი ცეტები ვიყავით-მეთქი, ეგ უკვე მოგახსენეთ, ორმოც წუთს კი არა, ზედმეტ ხუთ წუთს ბაადურ მასწავლებელსაც არ ვუსმენდით (ფიზკულტურას გვასწავლიდა და ისეთი ჯანიანი კაცი იყო, ნებისმიერ ჩვენგანს ცალი ყურით თავისუფლად სწევდა ჰაერში), მაგრამ უჯიათს მოვუსმინეთ და მერე როგორ, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. თუ იცით, რატომ? ბუნების მასწავლებელმა პირველი გაკვეთილი საქართველოს ისტორიით დაიწყო და უდავოდ მაგის გამო.

— ჩვენი მრავალჭირნაცადი ქვეყანა, ალბათ, ყველამ კარგად იცით, სახელოვან წინაპართა თავდადებამ გადაგვირჩინა და შემოგვინახა, — ჩუმი ხმით თქვა, რაღაცნაირი კვნესანარევი სუნთქვით ამოიქშინა და მთელი ერთი წუთით გაყუდა, ჩაფიქრებული გაირინდა, — მაგრამ, — გააგრძელა სარკმელზე, თუ მის გარეთ თითმიშვერილმა, — წინაპრებზე არანაკლები ღვაწლი ჩვენმა დალოცვილმა ბუნებამაც დაგვდო, რადგან აურაცხელ მტერთაგან გარემოცული და ხშირად დამარცხებული მცირერიცხოვანი ქართველი ერის ერთადერთი აუღებელი ციხე-სიმაგრე საბოლოოდ მაინც დედაბუნება იყო — გაუვალი, ულრანი ტყეები, თვალშეუდგამი მთები და ის სარჩო-საბადებელი, რასაც იგი ფლობდა და იმეტებდა მშიერ-მწყურვალ ხიზანთათვის.

არაბი თუ მონღოლი, სპარსი თუ თურქი, ოსმალო თუ სხვა დუშმანი სიკვდილივით უფრთხოდა მათთვის უცნობ, საიდუმლოებით მოცულ ბუნების ძალას, რადგან ყოველი ხის კენწეროდან თუ ბუჩქის ძირიდან ისარი, შუბი და ტყვია ემუქრებოდა, ყოველ მწვერვალთან ზვავი უდარაჯებდა, ხოლო ხეობებში — ქვათაცვენა.

ამიტომაც იყო, რომ დაუნდობლად ჩეხავდა და ბუგავდა ტყეებს, სპობდა ვაზს, ძირკვავდა ხეხილს, სათავეს უშლიდა წყაროს, მაგრამ მოღონიერდებოდა და იმძლავრებდა თუ არა ჩვენი წინაპარი, შეუდგამდა თუ არა დედაბოძს ჩამოქცეულ ჭერს, იმწამსვე, ხელახლა იწყებდა ხეხილის ჩაყრას და ვაზის მოშენებას, ტყის მოვლას და წყაროსთავის ამოყვანას. რაღა შორს მივდივართ, — კვლავ სარკმელს მიაშვირა თითი უჯიათმა, — აგერ, ჩვენი პატარა ქალაქი! თურმე მისი შემოგარენი ჯერ კიდევ ამ ორიოდე საუკუნის წინათ გაუვალი ტყეებითა და ბუჩქნარით ყოფილა შემოჯარული და დამშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებული, მაგრამ უმძლავრია მტერს, გაუჩეხავს და გადაუწვავს.

რაღა თქმა უნდა, ჩვენმა უჯიათმა მასწავლებელმა ეს ყოველივე უფრო ხატოვნად, ვრცლად და სრულყოფილად მოგვითხრო, მე იმას რას შევედრები, მაგრამ ამ დროს ერთმა ენაჭარტალამ, ასეთები ხომ ყველა კლასში მოიძევება, ისეთი რამ დააყრანტალა, რომ ყველა შეგვაცბუნა. — პატივცემულო, — ჰკითხა, — თქვენ ხომ პოლონელი ბრძანდებით და ჩვენს ქვეყანაზე ეგრე ძლიერ გული რატომ შეგტკივათო?

ამ დროს ზარიც დაირეკა, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს მოუთმენლობა არ დასტყობია, არც ფეხზე წამომხტარა და არც კრინტი დასცდენია, იმას ვუცქერდით — ჩვენს მასწავლებელს.

უჯიათმა ოდნავ გაიღიმა, წამოდგა, ჟურნალი იღლიაში ამოიჩარა და ვიდრე დაგვტოვებდა, ძალიან წყნარი და ჩუმი ხმით თქვა:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,  
და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულვის,  
იმათი კუბოს ფიცარი...

ეგ შეგვახსენა და წავიდა.

შემდეგღა გავიგეთ, რომ იმისი წინაპრები ძალიან დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, რევოლუციური საქმიანობისათვის პოლონეთიდან დედაბუდიანად აუყრიათ და ფასანაურში გადმოუსახლებიათ.

უჯიათის ნამდვილი უცნაურობები შემდეგი გაკვეთილებიდან დაიწყო. შემოვიდოდა თუ არა, შეთქმულივით ჩაგვიპაჭუნებდა თვალს და, — შატალოზე რა აზრისა ბრძანდებით, ხომ არ გავუტიოთო, — გვკითხავდა, თან თითს ტუჩზე მიიდებდა, რომ ჩვენს ყიჟინსა და ჟრიამულს სკოლის მყუდროება არ დაერღვია. ასე თითო-თითოდ ჩაგვლალავდა ქუჩაში, ჩაგვამწკრივებდა, თავად მენახირესავით ბოლოში მოგვექცეოდა და იმედის მწვერვალისაკენ წაგვასხამდა.

იმ პატარა, მოტიტვლებულ გორაკს, ქალაქის განაპირას რომ იყო წამომართული, მთაც კი არ ეთქმოდა, მაგრამ უჯიათი მწვერვალს ეძახდა და რატომ, ამას თვითონვე მიხვდებით.

აგვიყვანდა თუ არა იმ ბორცვზე, ხატის ხარებივით ჩვენს ნებაზე მიგვიშვებდა, თავად რომელიმე ჩირგვში შემალულ ბარსა და ნიჩაბს გამოაცოცებდა და მიწის ჩიჩქნას იწყებდა. ჩვენც, ფარეხიდან გამორეკილი ციკნებივით ატროკებულები, ხანდახან მივაკითხავდით და ჩავუკვირდებოდით იმის ჩხირკედელაობას.

ამოაბრუნებდა ბელტს, ჩააფხვიერებდა, გამოარჩევდა ბალახს, გაუწმენდდა ფესვს და, უფრო თავისთვის, ვიდრე ჩვენთვის, იტყოდა: — ეს მრავალძარღვაა, სამკურნალო მცენარე, გამოზვებული ნაიარევის საუკეთესო მალამო. — შემდეგ სხვას შეუნაცვლებდა. — აი, უმაქნისი ბაბუაწვერა, არაფრისა და არავის სარგო. — ასე მიაყოლებდა, მართალია, ბავშვების უმეტესობა აღმადაღმა დავჯირითობდით, მაგრამ სამიოთხი მოწაფე მაინც ყოველთვის ეხვია გარს, და თუ ვინმე სთხოვდა, ბარსა და ნიჩაბსაც უთმობდა, თავად განზე გადგებოდა, თითქოს ჩვენს მასწავლებლად კი არა, უბრალო მეთვალყურედ იყო დაყენებული.

უფრო დინჯი და აუღელვებელი ადამიანი არათუ მაშინ, შემდეგშიც აღარასოდეს შემხვედრია.

უჯიათის გაკვეთილი რატომღაც ყოველთვის ცხრილის ბოლოში იყო მოქცეული, იქნებ მისივე თხოვნით დაგეგმეს ასე, რადგან იმედის მწვერვალზე ხშირად დაბინდებამდის ვახანებდით და, გარდა მაგისა, ისე ვითხუპნებოდით და ვიზუზნებოდით, რომ სკოლაში კი არა, ფარეხშიც არ შევიშვებოდით.

ვგონებ ახლაღა ვხვდებით, უჯიათი რატომ შეარქვეს იმ ცხვარივით კაცს. ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა, რომელსაც არათუ სკოლის დირექტორი, განათლების მინისტრიც ვერ გადაათქმევინებდა. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წერდა ნიშანს და ამასთან — საბოლოოს. ამის გამოისობით იყო, ყველა რომ მოიმდურა და მტრად მოიკიდა: კოლეგებიც, მშობლებიც და შემმოწმებლებიც. მე ჩემი პედაგოგიური პრინციპები მაქვსო, ასე ამბობდა და, რამდენად მართებული იყო, თავად განსაჯეთ.

მისი მეთოდი თუ პრინციპი შემდეგში მდგომარეობდა: გაზაფხულზე, უმეტესად აპრილის დასაწყისში, მიწა რომ გვარიანად გალხვებოდა და გათბებოდა, — გამოცდები გეწყებათო, — გაგვაფრთხილებდა და კვირისათვის ყველას იმედის მწვერვალზე დაგვიბარებდა.

ყოველმა ჩვენგანმა მშვენივრად იცოდა, რომ შაბათ დღეს ბაზარში უნდა წავსულიყავით და რაიმე ნერგი გვეყიდა, სხვაგვარად გამოცდაზე არ დაგვიშვებოდით. ნერგით ხელდამშვენებული კი სამიან შეფასებას მაინც იმსახურებდა და, თუ რაიმე სხვასაც მოახლაფორთებდა, ვთქვათ, ნეკერჩხლის ფოთოლს მსხლის ფოთოლისაგან გაარჩევდა, მეტსაც მიიღებდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ უჯიათს არც რევიზია აკლდა, არც მკაცრი შემოწმება და რამდენჯერმე კინაღამ სკოლიდანაც დაითხოვეს.

ისე გვიყვარდა, ვგიჟდებოდით-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ პატივისცემით რომ ვექცეოდით, ამას წყალი არ გაუვა. მასთან შეხვედრისას ყოველთვის ყურებამდე ვიკრიჭებოდით და თავებსაც პინგვინებივით ვაკტურებდით. ისიც, როგორც ნათესავის ან მეზობლის ბავშვებს, ისე გვექცეოდა და გვიყურებდა.

უჯიათი ერთი ღირსეული თვისებითაც გამოირჩეოდა. ზღაპრული მეხსიერება ჰქონდა. არათუ ყოველი ჩვენგანის გვარი და სახელი ახსოვდა, ვის რომელი ნერგი გვქონდა თავის დროზე ჩარგული, ეგეც ზედმიწევნით იცოდა. შემდგომაც, უფროსკლასელები რომ გავხდით, შეხვედრისას აუცილებლად შეგვახსენებდა — შენმა მსხალმა უკვე ნაყოფი მოისხა, შენსას კიდევ ჭიანჭველა დაეხვია, დროზე მიხედე, წყალნარევი კირით ძირი შეუთეთრე, თორემ გახმებაო. მოკლედ, ჩვენს ნამოღვაწარს გვახსენებდა, მისდამი ყურადღებას გვაიძულებდა.

სკოლა რომ დავამთავრეთ, ზოგმა ალთას გავწიეთ და ზოგმა ბალთას.

მე ჯერ რუსეთში ვსწავლობდი, შემდეგ იქვე ვმუშაობდი, ბოლოს დავბრუნდი და თბილისში დავსახლდი. მშობლებიც იქ გადმობარგდნენ საცხოვრებლად და ისე მოხდა, რომ ჩემი ბავშვობისა და სიჭაბუკის ქალაქი ერთხელაც ვერ ვინახულე.

წელს მერხის მეგობარმა დამირეკა და მამცნო, გამოზაფხულზე სკოლის დამთავრების ოცდახუთი წლისთავს ვიხდით და თადარიგი დაიჭირეო. გამიხარდა, უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ბავშვობას უნდა დავბრუნებოდი. ბოლოს დათქმულმა დღემაც მოაწია. კვირა დღეს წამსვლელებმა თავი მოვიყარეთ და მექორწილეებივით ჩვენი პატარა ქალაქისაკენ გავსწიეთ.

ისეთი გამოცვლილი, გაზრდილი და დამშვენებული დაგვხვდა, რომ ძლივსღა ვიცანით. მეგზური რომ არ გვყოლოდა, ალბათ ჩვენი სკოლის მიგნებაც კი გაგვიძნელდებოდა.

სასწავლებლის კართან ის თანაკლასელები გველოდნენ, ვინც ძველ ბუდეს მიბრუნებოდა. შუაში ყვავილებით ხელდამშვენებული თმათეთრი მოხუცი ედგათ. ძლივს ვიცანი ბატონი დავითი, ჩვენი ყოფილი დირექტორი.

ხვევნა-კოცნისა და მოკითხვის შემდეგ ბატონმა დავითმა სახე მოჩვენებით გაიმკაცრა და გვიბრძანა: ორ რიგად მოეწყვეთ, ერთიმეორეს ხელები ჩასჭიდეთ და საკლასო ოთახისაკენ გამიძეხითო.

ჩვენც, რაღა თქმა უნდა, დავემორჩილეთ, ოთახში ავედით და მერხებს მივუსხედით.

ბატონმა დავითმა ღიმორეული სახით ამოიკითხა ჟურნალი, თითქმის ყველა გაგვიხსენა, ბოლოს ორთავე ხელისგულით მაგიდას დაეყრდნო და სათვალის ზემოდან გადმოგვხედა.



— ყველასთან მაქვს ერთი საერთო მამაშვილური სათხოვარი, — რატომღაც ხრინწგარეული ხმით მოგვმართა, — ვიდრე სამხიარულო სუფრას მივუსხდებოდეთ, ნუ გამაწბილებთ და იმედის მწვერვალზე ამომყევით.

იმედის მწვერვალი რომ ახსენა, იმწამსვე ყველას უჯიათი გაგვახსენდა და მოვიკითხეთ. იქ დაგვხვდებაო, მოკლედ გვითხრა ყოფილმა დირექტორმა, ხელის აქნევით წამოდგომა გვიბრძანა, ოთახიდან გავიდა და ეზოში ჩაგვიძღვა.

ჰოი, საოცრებავ! ედემის ბაღი გეგონებოდათ ჩვენი სასწავლებლის ეზო-შემოგარენი, რადგან ხეხილს აღარ ნახავდით იქ, რანაირ ყვავილსა თუ ბუჩქს, როგორ სვიასა და საროს. რა ფერად აღარ ყვაოდა იქაურობა, როგორი სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. ახლა, სკოლიდან იმედის მწვერვალისაკენ მიმავალი ხეივანი უნდა გენახათ, მარადმწვანე კვიპაროსებით დაბურული და დაჩრდილული. მაგრამ ყველაზე დიდი მშვენიერება მაინც იქ გველოდა, ჩვენი სიყმაწვილის მოტიტველებულ გორაკზე, ერთ დროს ხრიოკსა და უსახურზე.

ცისარტყელას რომელ ფერად და სპექტრად აღარ ლივლივებდა იქაურობა, რა ზურმუხტად და ლალად. ღია თეთრად მოქათქათე ვაშლები, ჯადოსნურ ფერიათა კაბებით შემოსილი ტყემლები და ატმები; რამდენი ისეთი უცხო და უცნაური ხეხილი, რომელთა არც სახელი ვიცოდით და არც წარმომავლობა.

ფერდის ძირში მეხუთე-მეექვსეკლასელი ბავშვები დაგვხვდნენ. ყოველ მათგანს ორ-ორი ნერგი ეპყრა ხელში, იმათგან თითო ჩვენ გვიწილადეს და დინჯად, აუჩქარებლად დავიძარით იმედის მწვერვალისაკენ.

და იქ, მთლად მაღლა, სადაც ჩვენს უჯიათ მასწავლებელს ბავშვობაში დავყავდით, სადაც პირველი ნერგები ჩვენ-ჩვენი ხელით ჩაგვარგვევინა და გაგვახარებინა, სწორედ იქ — იმედის მწვერვალზე დაგვხვდა მისი სამარე, მისი სამარადჟამო განსასვენებელი, რომელიც, ქართული საფლავების გვარად, უბრალო, მაგრამ მასიური ქვით დაენიშნათ და დაემშვენებინათ. იმ მუქ ლოდზე კი ორი ნაჯაფარი, ფართოდ გაშლილი ხელისგული ამოეკვეთათ და ნებებში მოქცეულ მიწაში არაამქვეყნიური სილამაზის ვარდის კენტი კოკორი აღმოეცენებინათ.

ვიდექით ოცდაათი თავდახრილი ნამოწაფარი ოთხივე მხრიდან მტირალი ტირიფებივით შემოჯარულ იმედის მწვერვალზე დაკრძალული ჩვენი უჯიათი მასწავლებლის სამარესთან და ყოველ ჩვენგანს ხელში თითო, ახლადსიცოცხლეჩამდგარი ნერგი გვეპყრა, ეს უკანასკნელი და უმცირესი საჩუქარი იმ სანთელივით სპეტაკი ადამიანისათვის, რომლის სხეულშიც ერთ დროს წმინდა პოლონური სისხლი მიმოდიოდა და ჭეშმარიტი ქართული სული გრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასამახსოვრებელი სახელები

## დავით გოშაძე



რომ იცოდეთ, როგორ უხდება დათოს შვინდისფერი ჩოხა და შავი ახალუხი! გამოიწკიპება, ქამარ-ხანჯალსაც შემოირტყამს, ერთს ქოჩორზეც გადაისვამს ხელს, ჩადგება „ბიჭების“ ბიჭებში და მათთან ერთად დააგუგუნებს ქართულ სიმღერებს. მუსიკალური ნიჭი და სიმღერის სიყვარული ადრეულ ასაკშივე გამოაჩნდა და მშობლებმაც 7 წლისა გიმნაზიის პარალელურად ზ. ანჯაფარიძის სახელობის №28 საგუნდო-სამუსიკო სასწავლებელშიც მიიყვანეს, ბავშვთა ხალხური სიმღერების ანსამბლ „ბიჭების“ წევრი კი მოგვიანებით გახდა. დათოს ინტერესთა ფართო წრე მოიცავს სპორტსაც, — რამდენიმე წელია ის საკალათბურთო კლუბ „მაქაბის“ მოსამზადებელ გუნდის წევრია, ენებსაც — იგი გულმოდგინედ ეუფლება გერმანულს, ინგლისურს და რუსულს, ხატვასაც — დათოს ნახატებში მახვილი თვალი, მოვლენების, საგნების აღქმის და მათი გამოსახვის თავისებური მანერა იკვეთება, და, რაღა თქმა უნდა, ისევე როგორც ბევრი მისი თანატოლი, დათო კომპიუტერთანაც გაშინაურებულია.

13 წლის დათო გოშაძე ქართული ხალხურ საკრავებზეც საუცხოოდ უკრავს და სასკოლო კონცერტებზე ორკესტრთან ერთად ფორტეპიანოზეც ხშირად ასრულებს საფორტეპიანო ნაწარმოებებს.

დათოს ამთავითვე აქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად ნიჭის გარდა, საჭიროა საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობა, შექმნილის გაღრმავება-გამდიდრება და ამიტომაც გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, ჰარმონიული ბუნებით, ცოდნის წადილით.

## „მე ლიანა ისაკაძე უნდა გავხდე...“

ხუთი წლის იყო ნინო თოთიაური, ტელევიზიით ლიანა ისაკაძე რომ ნახა, სულგანაბული უსმენდა პატარა გოგონა მელოდიურ ჰანგებს და მონუსხულივით შესცქეროდა ეკრანს, „ვინ უკრავდა?“ — მოუთმენლად იკითხა კონცერტის დასრულებისთანავე. დედამ აუხსნა, რომ ეს ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძეა. „მე ლიანა ისაკაძე უნდა გავხდე“, — კატეგორიული იყო პატარას ტონი. ამ დღიდან ვიოლინო გოგონას ყველაზე დიდ გატაცებად იქცა. თავიდან ნინოს ეს გატაცება ბავშვურ ახირებად მიაჩნდათ, მაგრამ...

დღეს ნინო სულხან ცინცაძის სახელობის მე-10 მუსიკალური სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეა ვიოლინოს განხრით. თბილისში ცოტა ხნის წინ ჩატარებული მუსიკალური სკოლების დათვალიერებაზე ათი წლის გოგონამ ისეთი სილაღითა და სიმსუბუქით შეასრულა თავისი ასაკისთვის შეუფერებელი რთული ნაწარმოებები, რომ პედაგოგები და ჟიურის წევრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და გოგონას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

საინტერესოა, რომ მშობლებმა თავდაპირველად გადაწყვიტეს ფორტეპიანოს კლასში შეეყვანათ ნინო. და ასეც მოხდა, მაგრამ თითქოსდა ერთმა ჩვეულებრივმა შემთხვევამ ყველაფერი შეცვალა — კლასში მოულოდნელად შემოსულმა ვიოლინოს პედაგოგმა თამარ ხმალაძემ, შეხედა თუ არა ნინიკოს ხელებს, თქვა: „შეიძლება მისგან კარგი მევიოლინე დადგეს“. ბავშვის შინაგანი განწყობაც ხომ ეს იყო და... დღეს ნინოს პროფესიონალ მევიოლინედ ჩამოყალიბებისათვის ახალგაზრდა ნიჭიერი პედაგოგი ლაიმე გარსევანიძე ზრუნავს, რომელიც, მშობლებთან ერთად, ყველა პირობას უქმნის გოგონას, რათა მან თავისი ნიჭი და შესაძლებლობები სრულყოფილად გამოავლინოს.

ნინოს კარგად ესმის, რომ თუ წარმატების მიღწევა სურს, რთული და ეკლიანი გზის გავლა მოუწევს. იგი ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში შეუსვენებლად მეცადინეობს. განსაკუთრებულ სიამოვნებას ჯენკინსონისა და ლარგოს ნაწარმოებების შესრულება ანიჭებს და კარგადაც გამოსდის. თუმცა, ბავშვი მაინც ბავშვია და მეგობრებისკენ ხშირად მიუწევს გული. ასეთ დროს თავადვე შეუძახებს ხოლმე თავს — მე ხომ ჩემი შემოქმედებით მსოფლიოს გაოცებას ვაპირებო!

დიახ, დიდი გეგმები აქვს ნინოს, მომავალი სირთულეები სულაც არ აშინებს და ყველანაირი საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ მისი ოცნება — მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე გახდეს და საქართველო ასახელოს, ცოტა ხანში მართლაც რეალობად იქცევა.

სიტყვაწუნწია პატარა ნინო, საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს და ხშირად თავის სათქმელს ლექსით ამბობს ხოლმე. გულის წადილი ვიოლინომაც „დააცდენინა“.



ხელში ავიღებ ჩემს ვიოლინოს,
მოვემზადები, დავიწყებ დაკვრას,
ჩავიძირები ლამაზ ჰანგებში
და ჩემს ოცნებებს მუსიკით
„დავრთავ“.
კომპოზიტორებს —
დანკლას, ჯენკინსონს,
ბომს, ვერაჩინის,
მარჩალოს და ბახს...
გრძნობით, სიცოცხლით
ავაჟღერებ და
მოვიხმობ მსმენელს,
დავიპყრობ დარბაზს!
ჟღერს ვიოლინო, ისმის მუსიკა,
იშლება ვარდი, იასამანი,
ბუნებით ტკბობა ვისაც, სჩვევია,
ის არის კარგი ადამიანი;



# ფიქრის მარგალიტები



## გიორგი ლეონიძე

### სიყვარული, მაშ გაქვს ვისი?

— თუ კაცი ხარ და ვაჟკაცი,
და თუ გინდა იქართველო,
ქართლი გიყვარს?
იმერეთი?
კახეთი თუ სამეგრელო?

სიყვარული მაშ გაქვს ვისი?
ვისთან მიხვალ სადღეგრძელოს?
მესხეთს ეტყვი თუ გურიას,
კახაბერის მიმბაძველო!
აფხაზეთს თუ სვანეთს, ლეჩხუმს...
რაჭის, ხევის თუ აჭარის
ტრფობა გულში დაიმჴელო?
— ამ სიყვარულს ვით გავუძლო?
ათჯერ, ასჯერ აკი გითხარ!
მიყვარს, მიყვარს, იცი, მიყვარს,
შე უღმერთო, რაღად მკითხავ?
ჭანეთს, კლარჯეთს, ცრემლი სცვივა,
ვიცი, არ გსურს დაიცილო;
შეუმღერებ ფშავ-ხევსურეთს,
თუშეთსა და საინგილოს!
— ერთ სუნთქვას და ერთ სიცოცხლეს,
ჩემი კოცნა ყველას, ყველას!
ერთგულს, ერთად მობრიალე
საქართველოს ცისარტყელას!
უიმისოდ მზეც წავიდეს,
შეჩერდეს და შეწყდეს სუნთქვაც,
ყველას, ყველას, — ერთ დიდ კერას
მე სიყვარულს გამოვუთქვამ!
სამშობლოს მზის ყოველ სხივმა
გადმისხა ცეცხლი გულში;
ერთად, ერთხმად დავიძახოთ,
გამარჯვება ჩვენს მამულში!
გაძლიერდეს დიდ ძმობაში,
რომ ვერავინ გადათელოს,
ალმდგარი და მხარგაშლილი,
მზისთანდარი საქართველო!

### ყივჩაღის პაემანი

„... ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...“

*მუხრანული*

ყორღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ ალვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.
ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!
ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!
მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...
მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!...

# რა და რა ჰქვია რას და რას

**კოკა** — წყლის საზიდი თიხის ჭურჭელი, დიდმუცლიანი, დამალყელიანი და ცალყურიანი.

**ქვაბქოთანა** — თიხის ქვაბი.

**კოჭობი** — პატარა ქოთანი.

**ქოთანი** — პირფართო, ყელგანიერი თიხის ჭურჭელი შეჭამანდის გასაკეთებლად.

**სურა** — მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს და ა.შ.) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთანათათვის.

**ლიტრა** — თიხის პატარა, ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი.

**ხელადა** — ფართოპირიანი და მრგვალმუცლიანი თიხის მომცრო ჭურჭელი (2 ლიტრის ტევადობის).

**ჭინჭილა** — ღოქის მოყვანილობის თიხის პატარა საღვინე ჭურჭელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო რობაქიძე თბილისის 89-ე სკოლის მეათეკლასელია. გარდა იმისა, რომ წარჩინებით სწავლობს, ნინოს დიდი წარმატებები აქვს სპორტშიც, კერძოდ — კარატე-დოში. საქალაქო თუ რესპუბლიკურ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე მოპოვებული გამარჯვებებისთვის მის მიერ მიღებულ დიპლომებს, სიგელებს, მედლებს თუ ფასიან საჩუქრებს თვლა არა აქვს. ამ ჯილდოების კოლექციას ის მრავალრიცხოვანი სიგელები და მადლობებიც ემატება, რომლებიც ნინოს სხვადასხვა სახის შემოქმედებით თუ საგნობრივ კონკურსებსა თუ კონფერენციებში წარმატებული მონაწილეობისათვის დაუმსახურებია. ნიჭიერი გოგონას ღრმა აზროვნებითა და ორიგინალური ხედვით აღბეჭდილი ჩანახატები თუ ლექსები ხშირად იბეჭდება საბავშვო პრესაში, რამდენიმე წლის წინ კი გამოვიდა მისი ლექსების კრებული „თილისმა“. ნინო რობაქიძე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ქართულ-ინგლისურენოვან გაზეთში „საქართველოს მიღმა საქართველოა“, სადაც უძღვება რუბრიკას „ჰეი, ვინ მოდის მომავლიდან“.

## ჩემი ლოცვა

ღმერთო, გადმოხედე ბედკრულ საქართველოს,
მუხლზე დაჩოქილი ფეხზე დააყენე.
ცრემლი შეუმშრალე, გული გაუმთელე,
ასჯერ დაჩეხილი კიდევ გაამთელე.
ღმერთო, ნუ დაღუპავ მრავალ ახალგაზრდას,
დედებს ნუ წაგვართმევ, მამებს ნუ მოგვიკლავ,
ძმებს ნუ ჩააცვამ ისევ საქართველოს,
დღეები მრავალი ცუდ წელს ნუ მოგვიტანს.
პური მოგვიმრავლე, მოსავალი მოგვიმატე,
ხელ და გულგაწვდილებს, თვალი გაუნათე,
ღმერთო, შეგვეწიე, ღმერთო! დაგვიფარე,
ღმერთო, შენი მადლიანი კალთა დაგვაფარე!

## იავნანა

პაწაწინა ქალბატონო,
შენ იის კონაო,
ღმერთმა დედის გასახარად
რომ გაგაჩინაო.
მზემ გაპკურა თვისი სხივი
გულში ჩაგიკრაო,
გალიარა როგორც შვილი
იავნანინაო.
მთვარემ ტახტი მოგიმზადა,
ზედ დაგაწვინაო,

ვარსკვლავებმა ტკბილი ნანა
ზედ დაგაწვეიმაო,
ცის ცოური ზეცას მოსწყდა
ხალხში გაფრინდაო,
და ახარა შენი მოსვლა
იავნანინაო.

* * *

ღამით ვარსკვლავებმა მოხატეს ზეცა,
ისე ბრწყინავდა შეშურდა მზესაც,
მთვარეც ჩაინამგლა ვარსკვლავთა ტყეში,
ოქროდ დაიღვარა იმ ღამეს ლექსი.
წვეთი გადმოცურდა ჯამიდან გარეთ.
ტკბილად აღიღინდა გარემო, მზარე
სიხარულს ეზიარა სამოთხის მსგავსი,
ამ დღესაც გავატანე ჩემი გულის დარდი.

## ერთი ფოთლის ბედი



ოჰ, რა ქარი ამოვარდა. საცოდავი ფოთოლი ტრიალებს ჰაერში, ეს ჭადრის ფოთოლია, რა ლამაზია.

— რა ცუდია, — კვნესის ფოთოლი. — ბოროტო, ურჯულო ქარო, რა გინდა ჩემგან? მამყოფე ჩემს დედასთან! ოჰ, რა კარგია ჩემს და-ძმებთან ყოფნა, შენ კი მატრიალებ, მაგდებ. მერე ჩემი მოქარგული კაბა ათასმა ფეხმა უნდა გადაქელოს, დახიოს, მანქანამ უნდა გაგლიჯოს, მოსპოს, მოანაგვოს, მოვა მერე მეეზოვე, წაიღებს ჩემს კაბას და გადააგდებს. მითხარი, რატომ უნდა მოვისპო? შემოდგომის მშვენება, განა ლამაზი არა ვარ?!

არა, არა, უნდა გავჩუმდე, ჩემს მეგობრებსაც ხომ ასეთი დღე ეჵრებათ და მე რა გამონაკლისი ვარ, რომ არ მოვკვდე. ღმერთს რაც უნდა, ის მოხდება. მე ახლა, ამდენს რომ ვლაპარაკობ, ეშმაკმა მაცდუნა...

მოდი, აღარ ვიტყვი ასე, ხომ შეიძლება ღმერთმა უფრო დამსაჯოს და სულაც წყალში ჩამაგდოს, ან კიდევ ცეცხლი წამიკიდოს და დამწვას, დამბუგოს. ოო, არა ეს მართლაც საშინელებაა.

ნეტავ, რა ბედი ეწევა საცოდავ ფოთოლს?იქნებ, სულაც კეთილმა ადამიანმა შეინახოს მისი მოქარგული კაბა და მეორე შემოდგომას დაახვედროს.

მალე ქარიც ჩადგება და ფოთოლთა შრიალიც შეწყდება ბაღში...

**თამთა ბარბაქაძე, საჩხერის რაიონის სოფელ საირხის საშუალო სკოლა, VI კლასი.**

# მსოფლიო კიდით კიდემდე



## იტალია
### მადის აღმძვრელი რეკლამები აიკრძალება

იტალიის საზოგადოება სერიოზულად არის შეშფოთებული ამას წინათ ჩატარებული გამოკვლევის შედეგით, რომლის თანახმადაც, იტალიელი ბავშვების 35 პროცენტს ჭარბი წონა აწუხებს. ექიმებისა და მშობლების აზრით, იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ბავშვები ზომაზე მეტს ჭამენ, ტელევიზიით სხვადასხვა სახის პროდუქტების რეკლამაა. აქედან გამომდინარე, ალბათ სულ მალე ადგილობრივ ტელეკომპანიებს აეკრძალებათ ბავშვებში მადისაღმძვრელი სასმელ-საჭმელის რეკლამირება.

## აშშ
### კინო ყველაფერს ურჩევნიათ

ლუის ჰარისის სამსახურის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ ტიპიურ ამერიკელ მოსწავლეს დღეში 11 საათი აქვს თავისუფალი. მოზარდების ყველაზე პოპულარული საქმიანობა კინოში სიარულია — გამოკითხულთა 86 პროცენტი სწორედ ამგვარ დასვენებას ამჯობინებს. აღსანიშნავია, რომ კინოში სიარულს ამერიკელი მოზარდები წელიწადში 720 მილიონ დოლარს ახდომებენ. 83 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ კითხვა უყვართ. კომპიუტერულ და ვიდეოთამაშებს რესპონდენტთა 63 პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა — ამ გართობისათვის 945 მილიონი დოლარი იხარჯება.

გარდა ამისა, ახალგაზრდებს უყვართ ცურვა, ველოსიპედით სეირნობა, საყვარელი მსახიობების კონცერტებზე სიარული და ბოულინგი.

## გერმანია
### ბავშვები მეტ ჯიბის ფულს მოითხოვენ

მშობლები შვილებს სულ უფრო მეტ ჯიბის ფულს აძლევენ. თანხა, რომელსაც ბავშვი ყოველთვიურად იღებს, შვიდი პროცენტით გაიზარდა და მან საშუალოდ 32 მარკა შეადგინა. საინტერესოა, რომ მშობლები ბიჭებს საშუალოდ თვეში ექვსი მარკით მეტს აძლევენ, ვიდრე გოგონებს. ბავშვების 80 პროცენტს შეუძლია ისე დახარჯოს ჯიბის ფული, როგორც მოესურვება. დღეს ცდუნებათა არჩევანი ძალზე დიდია. კომპიუტერული თამაშები, პლეიერები და ლაზერული დისკები, გორგოლაჭებიანი ციგურები... ამასობაში ბავშვების მოთხოვნილებებიც მატულობს: 17 წლამდე ასაკის გერმანელი ბავშვების 7 პროცენტს უკვე აქვს საკუთარი მობილური ტელეფონები, ყველა მეხუთეს კი ოთახში კომპიუტერი უდგას.

## მექსიკა
### პროვოკაცია პატიოსანთა გამოსავლენად

მექსიკელმა ჟურნალისტებმა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებს მაპროვოცირებელი გამოცდა მოუწყვეს. მათ დაწყებით და საშუალო სკოლებში შეაგდეს 219 საფულე, თითოეულში 120 პესო (აშშ-ს 11 დოლარამდე), სავიზიტო ბარათი და ტელეფონის ბარათი იდო. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რამდენი ბავშვი დაუბრუნებდა ნაპოვნ საფულეს პატრონს ან გადასცემდა უფროსებს. გაზეთ „მანიანაში" გამოქვეყნებული შედეგებით გაირკვა, რომ მხოლოდ 70-მა ბავშვმა დააბრუნა საფულე ანუ ყოველი სამიდან მარტო ერთი მოსწავლე მოიქცა პატიოსნად. ექსპერიმენტმა, რომელიც ქვეყნის 12 ქალაქში ჩატარდა, გამოავლინა, რომ ყველაზე კეთილსინდისიერები ქალაქ მადრიდის მოსწავლეები ყოფილან: მათ მიგდებული საფულეების ნახევარი დააბრუნეს.

## სინგაპური
### საღეჭი რეზინი მხოლოდ ექიმის რეცეპტით

იმის გამო, რომ ქუჩები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები ნაგვიანდება, სინგაპურში თითქმის ათი წელი იყო აკრძალული საღეჭი რეზინის წარმოებაც და გაყიდვაც. ახლახან ეს აკრძალვა მოიხსნა. ამიერიდან აღარც საღეჭი რეზინის ღეჭვა ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად და მაინც, ყველანაირი „სტიმოროლი" და „დიროლი" მხოლოდ აფთიაქებში, და ისიც მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაიცემა, როგორც კბილების გამწმენდი საშუალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ჩვენ გიამბობთ... სპილოზე



დეკემბრის ცუნამის შემდეგ, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალი ქალაქი დაანგრია, გაწვრთნილმა სპილოებმა „დახმარების ხორთუმი“ გაუწოდეს ადამიანებს. ტაილანდში მათ ნანგრევებიდან გამოჰქონდათ მანქანები და მოტოციკლეტები. სპილოები ინდოეთის, ინდონეზიისა და სხვა დაზარალებული ქვეყნების მოსახლეობასაც ეხმარებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კი გადაარჩინა 8 წლის გოგონა, რომელიც ზურგზე აჯდა მას, როდესაც უზარმაზარი ტალღები მოვარდა. სპილო თითქმის კისრამდე წყალში იდგა, მაგრამ მაინც შეძლო ბავშვის უხიფათო ადგილზე გადაყვანა.

* * *

აზიური სპილო დღეში 150 კილოგრამამდე საკვებს მიირთმევს.

* * *

მოზრდილ სპილოს ხორთუმით 270 კილოგრამი ტვირთის აწევა შეუძლია.

* * *



ეს ამბავი კენიაში, ამბოსელის ეროვნულ პარკში მოხდა. პატარა სპილო დამშრალი დიდი გუბის ადგილზე წარმოქმნილ ორმოში ჩავარდა და თუმცა არ დაშავებულა, ამოსვლას ვეღარ ახერხებდა. პატარას დედა უმალ შვილთან გადაეშვა ორმოში და ხმამაღალი ძახილით აცნობა თანამოძმეებს მომხდარის შესახებ. ორი სპილო მაშინვე საშველად გამოეშურა. სიტუაციის შეფასების შემდეგ ისინიც ორმოში ჩავიდნენ და ეშვებითა და ფეხებით ორმოს ცალი მხარის ჩამოთხრას შეუდგნენ. ამოთხრილი მიწა ორმოს მეორე მხარეს იყრებოდა და დამრეც ფერდობს ქმნიდა. როგორც კი ფერდობი გაიზარდა, დედა სპილომ შვილს ზევითკენ უბიძგა და სამშვიდობოზე აიყვანა.





* * *

ინდოეთში, ტაილანდის შტატის ნაკრძალში სპილოების დასასვენებელი ბანაკი შეიქმნა, ისე რომ, ამიერიდან მძიმე შრომით დაღლილ — ცხოველებს შეეძლებათ მთელი თვე დაისვენონ ხოლმე ამ საუცხოო კურორტზე, იძინონ რამდენიც მოესურვებათ, გემრიელად იკვებონ და კამკამა მდინარეში იბანაონ. ინდურ სპილოებს ინტენსიურად იყენებენ ხე-ტყის დამზადებაზე, ღვთისმსახურებისა და რელიგიური დღესასწაულების დროს. მათთვის „შვებულების“ მიცემის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც სპილოები რამდენჯერმე თავს დაესხნენ ადამიანებს. მეცნიერებმა ეს ამბავი მათი გადაღლილობითა და ნერვიულობით ახსნეს და დაასკვნეს, რომ დროდადრო ცხოველებს აუცილებლად სჭირდებათ დასვენება.

* * *

სპილოები საყვირივით იყენებენ ხორთუმს და ასე გადასცემენ ერთმანეთს სათქმელს შორ მანძილზე. თანამოძმის ყვირილი ამ ცხოველს ოთხი კილომეტრის მანძილზე ესმის. მაგრამ, თურმე სპილოები „შეტყობინების“ გადასაცემად ფეხებსაც იყენებენ, დიახ, სპილო უზარმაზარი ფეხების ბრახუნით გადასცემს სიგნალს. მეცნიერებმა დააფიქსირეს ტალღები, რომლებიც ნიადაგის გავლით ვრცელდება. თანამოძმის მიერ ფეხების ბრახუნით გადაცემული სიგნალის უკეთესად დასაჭერად სპილოები ცალ ფეხს მაღლა სწევენ, ამით ზრდიან წონას, რომელიც დანარჩენ სამ ფეხზე მოდის და უფრო მჭიდროდ აწვებიან მიწას.

* * *

ალიასკის ზოოპარკში აგებენ მსოფლიოში პირველ ტრენაჟორს — მორბენალ ბილიკს სპილოსთვის. საქმე ის არის, რომ აფრიკულმა სპილო მეგიმ იმდენად მოიმატა წონაში, რომ ზედმეტი 140 კილოგრამი დააგროვა, რაც მას კარგს არაფერს უქადის, ამიტომაც გადაწყდა მისთვის სპეციალური მოწყობილობის აგება. სპილოსთვის განკუთვნილი ტრენაჟორი ლიმუზინის სიგრძის იქნება და თავისუფლად გაუძლებს 4140 კილოგრამს — დიახ, ზუსტად ამდენს იწონის ქალბატონი მეგი.

# გული სავსე უნდა იყოს სიყვარულით

**საკონტროლო წერა თემაზე: გული სავსე უნდა იყოს სიყვარულით. წერენ საერო-საგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის" III² კლასის მოსწავლეები, ხელმძღვანელი ნათელა სვანიძე**

დედაშვილური სიყვარული დედამიწაზე გაჩენილი ყველა ცოცხალი არსების უნარია. დედა წვრთნის შვილს და ზრდის მის სულიერ მხარესაც. დედამ მასწავლა სიყვარული, სიკეთე, თანადგომა, ერთგულება.

შემდეგ სკოლაში შევედი, სკოლაში სიბრძნეს დავეუფლე. ბევრი მეგობარი შევიძინე ბედნიერების გარანტია არის კაცთმოყვარეობა, ბოროტებაზე გამარჯვება, სიყვარული, კეთილშობილება და თანადგომა.

ჩემო ძვირფასო დედიკო, ვიზრდები შენდა საიმედოდ, შენი ამაგის დამფასებელი ვიქნები. გასახარებ ჩემი ლამაზი ქცევით, კარგი ადამიანობითა და გარჯით. ვგრძნობ შენს თავგანწირვას, შენი ლოცვის ძალასაც. ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ჩემო სიცოცხლის, სიყვარულის დამბადებელო ძვირფასო დედიკოვ.

**ნინო ნიკოლაიშვილი**

მშობლების სიყვარული ყველა სათნოების საფუძველია. მიყვარს ჩემი უფროსი და, ბებიიც. ჩვენი ოჯახიდან სულ სიმღერების ხმა ისმის. ყველას ვუყვარვართ, ამიტომაც ჩვენც ყველა გვიყვარს. მასწავლებლები ხანდახან შენიშვნებს კი მაძლევენ, მაგრამ ვგრძნობ, რომ მათაც ძალიან ვუყვარვარ. ნათელა მასწავლებელი ბულბულს მეძახის.

**თინათინ მიროტაძე**

ღმერთმა ბედად მარგუნა, ისეთ ოჯახში დავბადებულიყავი, როგორიც ჩემი ოჯახია, მამა მეფეა, დედა კი — დედოფალი. ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახის წევრები. დედა მზრდის, ზრუნავს ჩემზე, დედამ მასწავლა სიკეთის კეთება, მეგობრობა, სიყვარული. შევედი სკოლაში, არაჩვეულებრივი მასწავლებელი შემხვდა. კლასელებიც კარგები არიან, მასწავლებელმა წერა-კითხვის გარდა მასწავლა ბევრი რამ, გპირდებით, ვიქნები თქვენი ამაგის დამფასებელი.

**თამარ გაიპარაშვილი**

ყველაზე ბედნიერი კაცი ის არის, ვინც მრავალ ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას. განსაკუთრებით კი დედას. დედა ხილულად ქცეული სიყვარულია. პირველად რომ გავახილე თვალი, ვიგრძენი დედობრივი სიყვარულის ძალა. დედა ძალიან ლამაზია, საყვარელი და გულთბილი. დედა მასწავლის სიყვარულს, სიკეთეს, მეგობრებთან ურთიერთობას და ზრდილობას. დედა მტუქსავს, მაგრამ უნდა, რომ კარგი ადამიანი დავდგე. მასწავლებელი იგივეს გვეუბნება. გვეუბნება, რომ კარგები უნდა ვიყოთ და კეთილები. გვასწავლის სიბრძნეებს, ლექსებს, მოთხრობებს და კიდევ ყველაზე მთავარს, — ადამიანობას.

**ზურაბ რურუა**

„ბრმა ლეკვიც კი დედისკენ მიიწევსო". დედამ გამზარდა და დედა მზრდის. თვალი რომ გავახილე, ვიგრძენი დედის სიყვარული, დედის სითბო, დავინახე სიკეთით ავსებული თვალები. ბაღშიც რომ მივედი, იქაც არ დამაკლეს მზრუნველობა. იქ მასწავლეს მეგობრობა. სკოლაში კი სიბრძნის ძიება მასწავლეს. სკოლაში რომ მივედი, არაფერი არ ვიცოდი, ნათელა მასწავლებელმა კი ყველაფერი მასწავლა. რაც ბედნიერების გარანტიაა. კაცთმოყვარეობა, თანადგომა, მოთმინება, სიკეთე და რაც მთავარია — სიყვარული.

**ნიკა ხინაშვილი**

ძალიან მიყვარს დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი ძმები, ჩემი ახლობლები და მეგობრები. ვგრძნობ, რომ მათაც ვუყვარვარ. ნათელა მასწავლებელსაც ძალიან ვუყვარვარ. ვცდილობ „ყოჩაღების" დამსახურებას, რომ ნათელა მასწავლებელი გავახარო.

**ლაშა ცაგარეიშვილი**

„პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა".

პირველად რომ გავახილე თვალი, შევიგრძენი დედობრივი სიყვარულის ძალა. შემდეგ ცოტა რომ წამოვიზარდე, დედამ ბაღში შემიყვანა. ბაღში გავიცანი ახალი მეგობრები. ბაღმა მასწავლა სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა და ბევრი სხვა. შემდეგ ცოტა კიდევ რომ წამოვიზარდე, დედამ სკოლაში შემიყვანა. სკოლამ მასწავლა წერა, კითხვა, მათემატიკა, კაცთმოყვარეობა, სიყვარული, მეგობრობა.

**რატი ხილაგაძე**

შენზე კეთილი თვალები, დედავ,
არ შემხვედრია ამ ქვეყნად არსად.

ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახის წევრები. დედამ მასწავლა სიყვარული, მეგობრობა, გულში ჩამინერგა სიკეთე. დედა ზრუნავს ჩემზე, დედამ შემიყვანა ბაღში. იქ ძალიან კარგი მასწავლებლები დამხვდნენ, კარგი მეგობრებიც შევიძინე. იქაც ვიგრძენი სითბო და სიყვარული. სკოლაში შევედი და აქაც კარგი მასწავლებლები შემხვდნენ. ნათელა მასწავლებელი ხშირად გვეუბნება, სიკეთე თესეთო, გვასწავლის მშობლების პატივისცემას. მე ძალიან მიყვარს ნათელა მასწავლებელი. გპირდებით ვიქნები ამაგის დამფასებელი, კეთილი, გაჭირვებაში ყველას დამხმარე და კეთილშობილი.

**მარი ჯანაშვილი**

არაფერია დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო. დედამ მასწავლა სიკეთის კეთება, ერთგულება, კეთილშობილება, ყველაფერი, რაც ბავშვს დედისგან სჭირდება. შემდეგ მივედი ბაღში. იქ არაჩვეულებრივი მასწავლებლები დამხვდნენ. სკოლაშიც რომ მივედი, იქაც გამიმართლა, არაჩვეულებრივი მასწავლებელი შემხვდა. მან სიბრძნის პონგა მასწავლა. ბევრი მეგობარი შევიძინე. მათთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ჩემმა ოჯახის წევრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ კეთილშობილი ვყოფილიყავი. მე ჩემი დედის და ჩემი მასწავლებლის მადლიერი ვარ. ასე, რომ დედებს გაფრთხილება სჭირდებათ.

**ნუცა მერაბიშვილი**

დედაშვილური სიყვარული ძალიან ძლიერია, ამიტომაც გამიჭირდა უცნობ ადამიანებთან დარჩენა. ორი სკოლა, ორი კლასი გამოვიცვალე და მესამე კლასში რომ შემომიყვანა დედაჩემმა, რატომღაც ადვილად შევეჩვიე ამხანაგებს. კი არ შევეჩვიე, შევიყვარე ისინი. სკოლაც შემიყვარდა.

**ლაშა კახიანი**

„ავს და ბოროტს სიკეთით ვძლიოთ, გულგრილობას, თანაგრძნობით, სიძულვილს — სიყვარულით".

ნათელა მასწავლებელი ანდაზებს გვასწავლის. წიგნებში სიბრძნეს ვეძებთ და ცხოვრებას ვსწავლობთ. აი რამდენი სიბრძნე ვისწავლეთ სიყვარულის შესახებ:

„უსიყვარულოდ ბალახიც ვერ აბიბინდება".

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

„უსიყვარულოდ მზეც არ ბუდობს ცის კამარაზე".

„სიყვარული სიყვარულის დედააო".

**გიორგი მებონია**

მე, ჩემი და, დედა, მამა, დეიდა, დეიდაშვილი, ბიძა, ბებია და ბაბუა ერთად ვცხოვრობთ. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. სულ სიკეთეზე ვფიქრობთ. მამაჩემი ხშირად დადის ეკლესიაში. სიკეთეზე და სიყვარულზე სკოლაშიც ვლაპარაკობთ, ამიტომ ცუდს ვერავის ვუსურვებ, ვერც გავუკეთებ.

**გვანცა გვაზავა**

# მუზა

წარმოგიდგენთ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
№2 გიმნაზიის მოსწავლეთა შემოქმედებას





ნინო ხელაია, IV$^{2}$ კლასი



ირაკლი ვარდოშვილი, III$^{1}$ კლასი



გვანცა ჯარიაშვილი, III$^{3}$ კლასი



ელენე ვარსიმაშვილი, III$^{2}$ კლასი



ნინო მაჩაიძე, I კლასი



სოფი ჭიკაძე, III$^{1}$ კლასი



ნანუკა სურამეაშვილი III$^{2}$ კლასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი მირზაშვილი
III¹ კლასი



მერაბ მჟლაშვილი
III¹ კლასი



თათია ღოლიძე
III¹ კლასი



გვანცა ჭანკოტაძე
III² კლასი



გიორგი გამაღაძე
III³ კლასი



დათო მგელაძე
IV² კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ფურცელაძე
III[1] კლასი



ანა მჭედაძე
I კლასი



აკაკი მარციაშვილი
I კლასი



გიორგი სადირინი
$I^4$ კლასი



სოფიო ჭყონია
I კლასი



თორნიკე მალნიაშვილი
I კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაჩი დალაქიშვილი
I კლასი



მარიამ გორგასლიძე
I კლასი



ნინო ბურდული
I კლასი



ანი იაშვილი



მარიამ
ბერძნიშვილი
I კლასი



სალომე საჩალელი
6 წლის



გიორგი ცერცვაძე
I კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველად რომ თვალი გავახილე, ვიგრძენი დედობრივი სიყვარულის ძალა. დედაჩემი ჩემთვის ხომ ყველაფერია?!

ყველა ოჯახს სიყვარული ამშვენებს, ნათქვამია, ვინც უსიყვარულოდ ცხოვრობს, ის, ცოცხლად მკვდარიაო. როდესაც დედამ ბაღში წამიყვანა, ვიგრძენი სითბო და სიყვარული აღმზრდელებისაგან. სკოლაშიც არ მაკლია სითბო, ყურადღება, ალერსი. ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები, ვგრძნობ, რომ მათაც ვუყვარვარ. მეგობრებთან ერთად ხშირად ფეხბურთს ვთამაშობ. მიყვარს წიგნების კითხვა, მიყვარს სიბრძნის ძიება.

**გიორგი ფორჩუა**

დედამ სისხლში გადმომცა მე საუნჯე ფარული. დედა ყველაზე საყვარელი და ლამაზია. პატარა რომ ვიყავი, დედა მაჭმევდა, მასმევდა, ეზოში როცა წავიქცეოდი, დედა ჩემკენ მორბოდა.

სკოლაში მასწავლებლი გვასწავლის მშობლების პატივისცემას, გაჭირვებულების დახმარებას და სამშობლოს სიყვარულს.

**რუსუდან ბოცვაძე**

რაც კი ადამიანის მოდგმაში კარგი და ძვირფასია, ლამაზი და მშვენიერია, დიადი და სათნოა, ბრწყინვალე და ტკბილია, დედისაგან მომდინარეობს.

**ქახაბერ ბუაჩიძე**

მშობლის თვალი რომ გიყურებს, იმაზე ტკბილი, ძვირფასი რა შეიძლება იყოს? ბაღში რომ შევედი, გავიცანი ამხანაგები. იქ კარგი მასწავლებლები მყავდა, ჩემს მასწავლებელს ერქვა ირა. იგი მომიკვდა. მშობლები მიმალავდნენ. მერე ჩემმა დაიკომ მითხრა და მე ტირილი დავიწყე. ჩემი მასწავლებელი ირა ძალიან მიყვარდა.

სკოლაში რომ შევედი, შევიძინე ახალი ამხანაგები. აქაც კარგი მასწავლებელი დამხვდა. მან მასწავლა კითხვა, წერა, ანგარიში, სიბრძნის ძიება, წიგნების კითხვა, მეგობრების დაფასება და მოყვასის სიყვარული.

**ქეთევან ციხისელი**

ბავშვს აქვს დანახვის, ფიქრის და შეგრძნების უნარი. მეც ვგრძნობ, რომ დედაჩემი ხილულად ქცეული სიყვარულია. პირველად რომ გავახილე თვალი, ვიგრძენი დედის სიყვარული. იგი მეულიდა, მაჭმევდა, მასმევდა, მზრუნველობას არ მაკლებდა. შემდეგ ბაღში მიმიყვანეს, იქ გავიცანი ბავშვები და ახალი მეგობრებიც გავიჩინე. მერე სკოლაში მიმიყვანეს. თავიდან არც წერა ვიცოდი და არც კითხვა, ძალიან მომეწონა სკოლა. მან მასწავლა სიყვარული, თანაგრძნობა, მეგობრობა და სიკეთე, რაც ბედნიერების დიდი გარანტიაა.

**დიმიტრი შუშანია**

დედის ხელები ხორცშესხმული სინაზეა, ბავშვს კარგად სძინავს ამ ხელებზე. დედის გული კი ზღვა არის სიყვარულისა. სიყვარულმა სიყვარული მასწავლა. ძალიან მიყვარს სკოლის მეგობრები, მასწავლებლებიც, რომლებიც სულ სიკეთეზე გვესაუბრებიან. „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ".

**ხანდრო უთალიშვილი**

23692

## ერთი თქვენგანი

# ნინო ნიკოლაიშვილი



გიორგი ნიკოლაიშვილთან ერთად.

მას შემდეგ, რაც ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ერნა წიფურიამ ბურთიკო შეარქვა, დიდი დრო გავიდა, ნინო გაიზარდა, ტანი აიყარა, აღარც ისეთი ჩამრგვალებულია და საკუთარ გარეგნობასაც მეტ ყურადღებას აქცევს. ამიტომაც თუმცა საალერსო სახელი მაინც შერჩა, ჩვენ გადავწყვიტეთ ნამდვილი სახელით წარმოგიდგინოთ იგი.

მაშ ასე — ნინო ნიკოლაიშვილი წელს თავის თანაკლასელებთან ერთად ამთავრებს საერო-საგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის" პირველ საფეხურს და ემშვიდობება საყვარელ მასწავლებელს ნათელა სვანიძეს. ბევრი რამ ისწავლა ამ სამ წელიწადში ნიჭიერმა და მუყაითმა გოგონამ, ცოდნის მტკიცე საფუძველი შეიქმნა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მისი შემდგომი სწავლა-განათლების პროცესი. ნინო ადვილად და ხალისით სწავლობს, გულმოდგინედ ეუფლება ინგლისურს, რუსულს, არის ვირსალაძის სახ. ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლე, ძალიან უყვარს და აინტერესებს ასტრონომია და ცდილობს წიგნებში ამოიკითხოს პასუხები იმ უამრავ კითხვაზე, ვარსკვლავებთან, კომეტებთან, ცთომილებთან, მზესთან, მთვარესთან დაკავშირებით რომ ებადება.

ხუთი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე „გვირილას" ყველაზე პატარა წევრის, 3 წლის ნინო ნიკოლაიშვილის დებიუტი შედგა. პირველ წარმატებულ გამოსვლას პირველი ასევე წარმატებული გასტროლი მოჰყვა — პატარა ნინომ დიდი წვლილი შეიტანა



ნინიკო და „გვირილას" ხელმძღვანელი ერნა წიფურია

„გვირილას" წარმატებაში ეგეოსის ზღვის მუსიკალურ ფესტივალზე. პირველ გამარჯვებას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. ქართული ზღაპრების გმირებივით ნინიკო წლიდან წლამდე კი არა, ყოველდღე იზრდება შემოქმედებითად. თანდაყოლილი ნიჭიერების, არტისტულობის, მუსიკალურობისა და უდიდესი შრომისმოყვარეობის წყალობით დღითიდღე იხვეწება პატარა მომღერლის სტილიც, შესრულების მანერაც და არტისტიზმიც, სწორედ ამ ნიშნებით გამოარჩევენ ნინოს ქართველი კომპოზიტორები, რომლებიც ხშირად ჩუქნიან მას საკუთარ სიმღერებს, სწორედ ამ ნიშნებს აფასებენ ნინიკოში პროფესიონალი მომღერლები, რომლებიც სიამოვნებით მღერიან მასთან ერთად. გოგონას მრავალმხრივი ტალანტი მთელი სისრულით წარმოჩინდა რეჟისორ გ. ოსეფაიშვილის მიერ „გვირილაში" დადგმულ „ქეთო და კოტეში" პარაფრაზებში, რომელშიც ნინო ხანუმას განასახიერებდა, ამის შემდეგ იგივე რეჟისორმა როკ-ოპერა-მიუზიკლ „ჩიორაში" მიიწვია მთავარ როლზე და მან ამჯერადაც დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე არტისტული და ვოკალური მონაცემებით არის დაჯილდოებული. დავიმახსოვროთ ეს სახელი და გვარი — ნინო ნიკოლაიშვილი, გწამდეთ, რომ მისი სახით გონიერი, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პიროვნება და ნიჭიერი, მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედი გვეზრდება.



ოთარ რამიშვილთან და ხელოვნების გიმნაზიის მასწავლებელთან ციცინო მენთეშაშვილთან ერთად



საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზიის მოსწავლეთა შემოქმედებას

* * *

როდესაც ღამით გაველი გარეთ, მიმოვიხედე
სევდიან თვალით, მაშინ ვიგრძენი, რა იყო ღამე,
როცა ხალხს სძინავს და ეს ბილიკი ჩუმი და
წყნარი ახმაურდება, ნელი სიო შეძრავს მის გრძნობებს,
და ამ დროს უცებ სადღაც, შორს იტირებს ვიღაც,
ოღონდ იმიტომ, რომ იგი ამით ბედნიერ იქნას...

**ანა დვალი, V კლასი**

## მაისი

მაისის თვეში, ვარდის კოკორი
როცა იშლება,
იგი წაავავს დედის ალერსს.
ჩვენ გვეშინია,
ყვავილთ კი უხარიათ —
ვარდის სასახლეში
ალბათ ზეიმია.
მე კი ისევ და ისევ მეშინია,
წვიმის წვეთები
ჩემი ცრემლებია,
ვარდის სასახლეში კი ისევ ზეიმია...

**თეონა გოშაძე, VI ბ კლასი**

## ღამე

დღე ღამის შუქში გადამალულა,
ამ სიბნელეში ვერ გამექცევი,
თუ გამექცევი, მაინც დაგიჭერ,
თუ ვერ დაგიჭერ, მე წავიქცევი.

**ანანო გამყრელიძე, V ბ. კლასი**

## დამილოცე

ღმერთო, მინდა დამილოცო
ჩემი დედა, ჩემი ერი,
მიდღეგრძელე და ადიდე
სიყვარული მშვენიერი!
ნუ მოაკლებ ხალხს ამ გრძნობას
და დალოცე საქართველო!

**სალომე მეზურნიშვილი, VI კლასი**



თამუნა ცერცვაძე, $IV^2$ კლასი

## უკვდავება

უკვდავება ისეთი რამეა, რაზეც უარს ვერავინ იტყვის დედამიწის ზურგზე, მათ შორის მეც არ ვიტყოდი უარს, რომ შემომთავაზონ. მაგრამ საქმე ის არის, რომ უკვდავებისკენ მისწრაფების სურვილი სხვადასხვა პიროვნებაში სხვადასხვაა. არც მე და არც ჩემს მეგობრებს ეს გრძნობა ისე არ გვაქვს გაღვივებული, რომ უკვდავების ქვეყნის მოსაძებნად, სადაც ადამიანები მარადიული სიცოცხლით ტკბებიან, ჩავიცვათ რკინის ქალამნები და დედამიწის ზურგზე ვიხეტიალოთ. თუმცა არიან გამონაკლისები, მათ შორის ამ მოთხრობის გმირებიც გახლავთ.

ერთი გმირი ფიზიკურად დაადგება უკვდავებისკენ მიმავალ გზას, მიაღწევს მას, მაგრამ მალე მობეზრდება, მოენატრება ოჯახი, ახლობლები და უკვდავებას დათმობს. იგი შეიგრძნობს, რომ ამქვეყნიური არარაობაა, დაემორჩილება ბუნების მიერ დადგენილ კანონებს და დაელოდება სიკვდილს.

მოთხრობის მეორე გმირი უფლისწულია. მან რომ სიკვდილის შესახებ გაიგო, შეძრწუნდა, შეეშინდა მისი და მაშინვე იკითხა, არსებობდა თუ არა ისეთი ქვეყანა, სადაც უკვდავება მეფობდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში, უფლისწული მაშინვე გაემართებოდა ასეთი ქვეყნისკენ. მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო.

ჩემი აზრით, უკვდავებისკენ ისეთი ადამიანები ისწრაფვიან, რომელთაც სიკვდილის ძლიერ ეშინიათ და ამ ქვეყნადაც არავინ უყვართ ძლიერ, თავისი თავის გარდა.

**ბუბა ჩარხიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნუმეროლოგიური ანუ პითაგორას ჰოროსკოპი

ათასობით წლის წინათ გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის დანიშნულება და მისი ხასიათი განპირობებულია მისი დაბადების თარიღით — რიცხვით, თვით და წლით. ის იმას როდი ნიშნავს, რომ ახალშობილს ერთხელ და სამუდამოდ აქვს მიჩენილი მისი ცხოვრების მარშრუტი, რომელსაც იგი ვერ გადაუხვევს. ასე რომ იყოს, მაშინ ერთი და იმავე დღეს დაბადებული ყველა ადამიანი სრულიად ერთნაირი იქნებოდა. ნუმეროლოგია, რომელიც ადამიანის დაბადების თარიღიდან გამომდინარე განმარტავს მის ხასიათსა და შესაძლებლობებს, გვკარნახობს მიზანს, რომლის მიღწევაც შესაძლებელი და აუცილებელია, და გვასწავლის როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბედი სიურპრიზებს გვთავაზობს.



ნუმეროლოგიის მამამთავრად ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა ითვლება. მას მიაჩნდა, რომ ყოველივე კოსმოსში არსებულის ჰარმონიას საფუძვლად უდიდესი მუსიკალური გუნდი უძევს. თუმცა ადამიანებს არ ესმით პლანეტების მუსიკა, ისე მოქმედებენ, როგორც ჰარმონიული ერთიანის ნაწილი. პითაგორას მიხედვით, მუსიკა ვიბრაციათა სერიაა. დიდმა მათემატიკოსმა სამყაროს გუნდიდან რიცხვისკენ ხიდი გადო და გამოაცხადა, რომ „ყოველივე არსებულის საფუძველში ძევს რიცხვები“, რომლებიც ნოტებით ვიბრირებს. ადამიანის ხასიათს კი ის ვიბრაცია განსაზღვრავს, რომელიც მისი დაბადების მომენტში იყო. თუმცა ნუმეროლოგიის მეშვეობით დადგენილი კანონზომიერებანი დღემდე ვერავის აუხსნია, უნდა ითქვას, რომ რჩევები, რომლებსაც ნუმეროლოგია იძლევა, სრულიად უვნებელია იმათთვისაც კი, ვისაც ამგვარი თეორიები არ სწამს. ასეა თუ ისე, საკუთარ თავზე, საქციელზე კიდევ ერთხელ დაფიქრება არავის აწყენს.

### როგორ გამოვიანგარიშოთ ჩვენი რიცხვი?

შეკრიბეთ დაბადების თარიღის ყველა ციფრი და შეკრების გზით ერთ ციფრამდე დაიყვანეთ. ვთქვათ, ვიღაც 1999 წლის 12.10. დაიბადა 1+9+9+9+1+2+1+0=32 3+2=5. ამ ადამიანის ცხოვრების ძირითადი რიცხვი „ხუთიანი“ იქნება.

**1. ერთიანები** — ნებისყოფიანები, დამოუკიდებლები, შეუპოვრები არიან და მუდამ მზად არიან ბრძოლაში გადაეშვან. იღბლიანი დღე — კვირა. ფერი — თეთრი, სურნელი — სანდალოზი, თილისმა — ბრილიანტი.

**2. ორიანები** — ალტრუისტები არიან. მათ ამ ქვეყნად მშვიდობა და სიწყნარე მოაქვთ. ისინი ბრძენები და მტკიცე ნებისყოფისანი არიან. იღბლიანი დღე — კვირა, ფერი - მოვერცხლისფრო რუხი, სურნელი — იასამანი, თილისმა — თეთრი ოქრო.

**3. სამიანები** — ნიჭიერები, მაგრამ მოუთმენლები არიან. თუმცა გატაცებული იდეალისტები არიან, მათ არც პრაქტიკულობა აკლიათ, იღბლიანი დღე — შაბათი, ფერი — შავი, სურნელი — მუშკი, თილისმა — ამეთვისტო.

**4. ოთხიანები** — ხელისუფლებისკენ ილტვიან, ბუნებით ლიდერები, შეუპოვრები, გაწონასწორებულები და პატიოსნები არიან. იღბლიანი დღე — ხუთშაბათი. ფერი — ლურჯი, სურნელი — ლევკოიონი, თილისმა — საფირონი.

**5. ხუთიანები** — კონფლიქტურობით გამოირჩევიან. დღევანდელი დღე არ აკმაყოფილებთ და მუდამ წინ ისწრაფვიან. ძლიერები, გაბედულები და ენერგიულები არიან. მათი დღეა სამშაბათი, ფერი — ყვითელი, სურნელი — დარიჩინი, თილისმა — ლალი.

**6. ექვსიანები** — გაწონასწორებულები, კარგი საურთიერთობო, საიმედო და ხალისიანები არიან. დღე — სამშაბათი, ფერი — ოქროსფერი, თილისმა — ოქრო.

**7. შვიდიანები** — უბრალოდ მოვალენი არიან გაიმარჯვონ. მათ მდიდარი ფანტაზია, ძლიერი ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნების უნარი აქვთ. დღე — პარასკევი, ფერი — მწვანე, სურნელი — ვარდი, თილისმა — ზურმუხტი.

**8. რვიანები** — ორგანიზებულები და გაბედულები არიან, აქვთ დარწმუნების უნარი და ყოველთვის დიდი ზეგავლენა აქვთ სხვებზე. დღე — ოთხშაბათი, ფერი — ყავისფერი, სურნელი - ჟასმინი, თილისმა — ტოპაზი.

**9. ცხრიანები** — შემოქმედებითი შრომისკენ ილტვიან. მათ ძლიერი ინტუიცია და მტკიცე რწმენა აქვთ. იღბლიანი დღე — ორშაბათი, ფერი — მოყვითალო-მწვანე, სურნელი — შროშანი, თილისმა — ონიქსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაგარი“ გამოგონებები

## გინდათ, მფრინავი გოჭები დაგესიზმროთ?



„სიზმრების ფაბრიკა“ – ასე ჰქვია ახალ ხელსაწყოს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა თქვენი სურვილით აირჩიოთ სიზმარი. დაფიქრდით, როგორი სიზმრის ნახვა გინდათ, ჩადეთ ხელსაწყოში შესაბამისი სურათი, შეარჩიეთ მუსიკა და სუნი, ჩაწერეთ ფონზე რაიმე წინადადება, რომელიც არჩევანს შეგახსენებთ, ვთქვათ ასეთი: „მინდა სიზმარში მფრინავი გოჭები ვნახო“. როცა თქვენ დასაძინებლად დაწვებით, სიზმრების პროექტორი დაიწყებს მუსიკის დაკვრას, ამ წინადადების გამეორებას და ოთახში თქვენი საყვარელი სურნელის ფრქვევას, თქვენ კი დაგესიზმრებათ, როგორ შლიან ფრთებს სიმპათიური ვარდისფერი გოჭები.

## მოირგე „სქაიფლაიერი“ და იფრინე ლაღი ფრინველივით



ხომ გახსოვთ, როგორ დაფრინავს ცათამბჯენების თავზე ფილმის „ლარა კროფტი – აკლდამების მძარცველი“ მთავარი გმირი? კოსტუმს, რომელიც მას ფრენის საშუალებას აძლევს, „სქაიფლაიერი“ ჰქვია და სწორედ მისი წყალობით იშვა საპარაშუტო სპორტის ახალი სახეობა – სქაიფლაინგი. „სქაიფლაიდერი“ იკერება თხელი ორფენიანი ნეილონისგან, ფრთების მაგივრობას სწევს იღლიების ქვეშ და ფეხებს შუა განლაგებული ქსოვილი. ორფენა ფრთები ჰაერით ივსება, იბერება და ადამიანი საათში 140 კილომეტრის სიჩქარით ჰორიზონტალურად დაფრინავს ცაში. ეს საოცარი კოსტუმი, რომლის გამომგონებელია იარი კოუსმა, შეკვეთით იკერება და ის დაახლოებით 1100 დოლარი ჯდება.

## ციცქნა მოტოციკლი



ტომ უიუბერგმა შექმნა ციცქნა მოტოციკლი, რომლის საჯდომის სიმაღლე სულ 6,5 სანტიმეტრია. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელია ასეთი პატარა მოტოციკლით გადაადგილება, მაგრამ ახირებულმა გამომგონებელმა იმდენი შეძლო, რომ 10 მეტრი გაიარა (ეს ექვსი მოტოციკლის სიგრძეა).

## თქვენი ძაღლი აღარ დაიკარგება



შინაური ცხოველების გლობალური ძებნის სისტემა „Global petlindar“ უმალ შეგატყობინებთ, სად იმყოფება თქვენი ოთხფეხი მეგობარი, როგორ შორსაც არ უნდა იყოს ის წასული. ეს მოწყობილობა, რომელიც ძაღლის საყელოზე მაგრდება, აფიქსირებს ცხოველის ადგილსამყოფელს, მისი პატრონი კი ღებულობს ელექტრონულ წერილს კომპიუტერში ან ტექსტურ შეტყობინებას მობილურზე. მაინც როგორ მუშაობს ეს მოწყობილობა? როგორ და გლობალური პოზიციონერების სისტემის მეშვეობით. ძაღლის ყველა გადაადგილებას დედამიწის ორბიტებზე ჩამოკიდებული თანამგზავრები ადევნებენ თვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გირჩევთ ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე



გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლამარა დიდებული ექიმი-კოსმეტოლოგია, იგი გახლავთ ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ და საქართველოში ესპერანტოს ერთადერთი მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი 26 წლის განმავლობაში, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა მრავალი ტიტულისა თუ წოდების მფლობელი, ესპერანტისტთა რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მონაწილე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ბავშვებისა და ახალგაზრდების დიდი მეგობარი.

გასრულდა წვიმებით უხვი გაზაფხული და ზაფხულიც დაგვიდგა. მზე თანდათან იკრებს ძალებს და უფრო და უფრო ძლიერად აცხუნებს. მალე ჩვენს მოზარდებს და ახალგაზრდებს არდადეგები დაეწყებათ და ბევრი თქვენგანი ზღვას მიაშურებს, სხვები მთაში მოინდომებენ ზაფხულის გატარებას, უთუოდ ისეთებიც იქნებიან, ვისაც ქალაქში მოუწევს დარჩენა. მინდა ყველანი ამთავითვე გაგაფრთხილოთ – ნუ მიეფიცხებით მზეს, ნუ მოინდომებთ ზომაზე მეტად გარუჯვას, ნუ შესწირავთ სილამაზეს ჯანმრთელობას! შეგახსენებთ, ჩემო კარგებო, რომ მწველი მზის სხივები პირველ რიგში კანისთვის არის საზიანო.





თუ მაინც ვერ გაუძლებთ ცდუნებას და შედეგად სახეზე აყვავებულ ჭორფლს და ლაქებს მიიღებთ, გირჩევთ ასეთი კანისთვის განკუთვნილი ნიღბები იკეთოთ. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

1 მოზრდილი ლიმონის წვენს დაუმატეთ 100 გრამი თაფლი, ნარევი წაისვით სახეზე, ყელზე, ხელებზე (ყოველდღიურად). გაიჩერეთ 20-25 წუთი. ჩამოიბანეთ ცივი წყლით და წაისვით მკვებავი. ნიღაბი შეინახეთ მაცივარში.

* * *

2 სუფრის კოვზი მაწონი, 1 ჩაის კოვზი ღვინის ძმარი, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი აურიეთ, ფაფისებური მასა წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 15-20 წუთი, ჩამოიბანეთ სახლში ნადგომი წყლით, წაისვით მკვებავი.

* * *

1 კვერცხის ცილას დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი 3%-იანი პერეკისი. წაისვით ეს მასა სახეზე, გაიჩერეთ 20-25 წუთი, დაიბანეთ სახლში ნადგომი წყლით. წაისვით მკვებავი (ნიღაბი წარბებზე არ მოიხვედროთ).

* * *

1 ლიმონის წვენს დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი თხელი თაფლი, წაისვით, გაიჩერეთ 20-25 წუთი. სასურველია ნიღაბი გაშრობისას შეასველოთ. ჩამოიბანეთ სახლში ნადგომი წყლით. წაისვით მკვებავი.

* * *

თუ ზღვაზე აპირებთ წასვლას, იმისათვის, რომ პლაჟზე არ შერცხვეთ, და საერთოდაც ფეხების სილამაზეზე ამთავითვე უნდა იზრუნოთ. თუ ფეხის თითებზე კოჟრები ე.წ. მაზოლები გაქვთ გირჩევთ:

ძილის წინ ფეხები ცხელ წყალში დაილბეთ, შემდეგ კარგად გაიმშრალეთ. მაზოლიან თითზე მიიკარით ლიმონზე ჩამოჭრილი ბოლო ნაწილი. გაიჩერეთ ასე 4-5 დღე. მაზოლი მოგცილდებათ.

# ლექსები



**ნიკა მელქაძე,**
**თბილისის № 126 საშუალო სკოლა, VII კლასი**

* * *

ერთხელ ჩავუღრმავდი
ჩემს თავს,
მსურდა მენუგეშებინა სული.
ისეთი სიტყვები მითხრა,
მზესაც დაეთუთქა გული.

* * *

ტკივილი განსაცდელს
მაჩვევს,
სიზმრებში ვეღარ მამჩნევს,
მადლობა ვუთხრათ გამჩენს
და საიდუმლოდ დარჩეს.

* * *

არ შემიძლია ფრთაგაშლილი
ზეცაში ფრენა,
გული რომ ამბობს,
ვერ აღიქვამს იგივეს ენა.
გთხოვთ, ნუ დაჩაგრავთ
გულის
ფსკერზე დარჩენილ რწმენას,
არაფერს არ გთხოვთ,
მხოლოდ ახლა შევძლო
გაფრენა.

* * *

სხეულმა სული დაჩაგრა,
მყისვე აზრები გაფანტა,
ვინ იცის, ახლა რას
ვფიქრობ,
ჩემთვის გალამაზდა კამარა.
ბრძენს თუ გაუშავდა ჭაღარა,
ხმა თუ ამოიღო ჭადარმა,
სულმა თუ სხეული დაჩაგრა,
გულმა თუ შიში დაკარგა.
თუკი გაჩუმდა თამადა,
თუ ხართ სიყვარულით ავადა,
მოდით, გამოსცადეთ თავადა.




მამედ მამედოვი, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლა, II კლასი



სილკამ იაკუბოვი, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლა, II კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა





???

როგორც ცნობილია, გოჭი ვეფხვისთვის გემრიელი ლუკმაა. 4 წლის ბენგალური ძუ ვეფხვი საიმაი კი ტაილანდის ქალაქ სირაჩის ზოოპარკში გოჭებთან ერთად ცხოვრობს გალიაში. ვეფხვი და გოჭები ჩახუტებულები იძინებენ. მეგობრებს მარტო ჭამის დროს აცალკევებენ — ღმერთმა ნუ ქნას, გოჭებმა ნახონ რას მიირთმევს ვეფხვი. საიმაი ძაღლის ლეკვებთან, გოჭებთან და მაიმუნებთან ერთად იზრდება — ცხოველები მონაწილეობენ პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ფაუნის სხვადასხვა წარმომადგენელთა ნაშიერებს ერთად ზრდიან და ამით ადამიანებს შეახსენებენ: „თუ ასეთ განსხვავებულ ცხოველებს შეუძლიათ მშვიდობიანად იცხოვრონ ერთად, რატომ არ შეუძლიათ იგივეს გაკეთება ადამიანებს?“

# კარლ გაუსი — მათემატიკოსთა მეფე

მათემატიკა

მათემატიკის ისტორიამ ცოტა როდი იცის არაჩვეულებრივი მათემატიკური ნიჭის ადრეული გამოვლინების შემთხვევა. საკმარისია გავიხსენოთ შვეიცარიელი ლეონარდ ეილერი, ნორვეგიელი ნილს ჰენრიკ აბელი, ფრანგი ევარისტ გალუა, მაგრამ უდიდესი გერმანელი მათემატიკოსი კარლ ფრიდრიხ გაუსი ამ მხრივაც შეუდარებელია.

გაუსმა ლამის აკვნიდანვე გამოიჩინა თავი: მის ზღაპრულად ნაადრევ განვითარებაზე ლეგენდებია შემონახული. მოგვითხრობენ, მაგალითად, რომ სამი თუ ოთხი წლის ბავშვი ყოფილა, როცა მამამისის, შადრევნების ოსტატის, გერჰარტ დიდერიჰის ხმამაღალ ანგარიშში ჩარეულა და გაუსწორებია; სახტად დარჩენილი მშობელი მიმხვდარა, რომ მას მოიჯარადეები ატყუებდნენ...

როგორც კი თვლაში გაიწაფა, პატარა გაუსი გამუდმებით აკვირვებდა დედ-მამასა და ნაცნობებს რიცხვითი დამოკიდებულებების მყისიერი დაჭერისა და გაანგარიშების დაუჯერებელი სისწრაფითა და სიზუსტით (შემდგომ თურმე ხშირად ხუმრობდა ხოლმე — თვლა უფრო ადრე ვისწავლე, ვიდრე ლაპარაკიო). მისი ბიოგრაფი ფონ ვოლტერჰაუზენი იგონებს: „განცვიფრებული ვრჩებოდით, როგორ შეეძლო რიცხვების მართვა და რა იოლად იმორჩილებდა მათ... ზეპირ გამოთვლებში, რასაც, თუმცაღა განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც აძლევდა, ვერავინ ვერ უწევდა მეტოქეობას... იცოდა და ახსოვდა ყველა ლოგარითმის პირველი ათობითი ციფრები და მათ ზეპირი, მიახლოებითი გამოთვლების დროს იყენებდა...“

7 წლის კარლ ფრიდრიჰი საერო სკოლაში მიაბარეს. ერთხელ, იქაურ მასწავლებელს მოსწავლეებისათვის მიუცია ამოცანა გარკვეული რიცხვების ჯამის მოძებნაზე. ზოგი



წყაროს მიხედვით, მოსანახი იყო ყველა მთელი რიცხვის ჯამი 1-დან 100-მდე, სხვა წყაროებით — 1-დან 20-მდე (ჩვენ პირველ ვარიანტზე შევჩერდებით). მასწავლებელი თურმე ვარაუდობდა, რომ იმ დროს, რომელსაც შეგირდები რიცხვთა გრძელი მწკრივის შეჯამებას მოანდომებდნენ, თავისთვის გამოიყენებდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი გაოცება, როცა ამოცანის პირობა სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა, ნორჩი გაუსი კი წინ გამოვიდა, „გავაკეთეო“, განაცხადა და მასწავლებლის მაგიდაზე გრიფელის პატარა დაფა შემოდო. დაფაზე სწორი პასუხი ეწერა: 5050. იმ კლასში ბევრი მოსწავლე კარლ ფრიდრიჰზე უფროსი იყო და ზოგი მათგანის მიერ გვიან მიღებული ამოხსნა სწორიც არ გამოდგა...

ახლანდელი მერველკასელისათვის (რომელიც უკვე იცნობს არითმეტიკული პრორგესიის წევრთა ჯამის ფორმულას) ეს ამოცანა სათამაშოა.

მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რომ ხსენებული ამბის დროს კარლ ფრიდრიჰი ათიოდე წლისა ყოფილა და პროგრესიები ალბათ არ ეცოდინებოდა, მაშ,როგორ გადაწყვიტა მან დავალება? ჩვენ ეს არ ვიცით და ვერც ვერასდროს შევიტყობთ, ოღონდ რატომ არ შეგვიძლია დავუშვათ ასეთი რამ: გაუსმა გონებაში ელვის სისწრაფით გაამწკრივა რიცხვები 1,2,3... 100, ქვეშ მიუწერა იგივე რიცხვები შებრუნებული რიგით (ერთს — ასი, ორს — ოთხმოცდაცხრამეტი და ა.შ. ასს - ერთი), „დაინახა“ რომ ყოველ სვეტში შეკრების შედეგად ერთსა და იმავეს რიცხვს 101-ს ღებულობდა და რომ ასეთი სვეტი სულ 50 ექნებოდა. 101-ის 50-ზე ზეპირად გამრავლება კი მას, ანგარიშის მისი საარაკო უნარით, ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. თუ ჩვენ მიერ „აღდგენილი“ სურათი სწორია, მაშინ გამოდის, რომ მომავალ გენიოსს იმთავითვე ბედნიერი იდეისათვის მიუგნია (ეგებ ეს სულაც მისი პირველი იდეა იყო), შემდეგში გაუსს თურმე იმდენი იდეა ებადებოდა, რომ პირდაპირ არ იცოდა, რა ექნა მათთვის და ქაღალდზე მხოლოდ ნაწილი მათგანის გადატანას ახერხებდა.

...ჭაბუკი გაუსის მათემატიკური განვითარება გიგანტური ნაბიჯებით გაგრძელდა და უკვე 19 წლისამ გადაწყვიტა ისეთი პრობლემა, რომელიც მანამდე 2 000 წელზე მეტხანს ამოუხსნელი „იდო“. აჩვენა, რომ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით შეიძლება წესიერი ჩვიდმეტკუთხედის აგება; 22 წლისას კი დოქტორის ხარისხი მიენიჭა ალგებრის ძირითადი თეორემის (ნებისმიერი **n**-ური ხარისხის ალგებრულ განტოლებას აქვს ნამდვილი ან კომპლექსური ფესვი) დამტკიცებისადმი მიძღვნილი დისერტაციისათვის.“ გაუსმა კიდევ უამრავი პირველხარისხოვანი აღმოჩენით გაამდიდრა არა მარტო მათემატიკა, არამედ მთელი რიგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ბევრი თქვენგანი, ვინც მომავალ პროფესიად მათემატიკას, ფიზიკას, ასტრონომიას, ან გეოდეზიას ამოირჩევს, არა ერთხელ და ორჯერ გაიგონებს ამ სახელს. გაუსს სიცოცხლეშივე შერქვა „მათემატიკოსთა მეფე“ და დიდებით მოსილი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მათემატიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნდა გაგაოცებთ

## როგორ იგრძნობდი თავს მუდმივად 43° სიცხე რომ გქონდეს?

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში ცხოვრობს 10 წლის ბიჭი, რომლის სხეულის ტემპერატურა 43 გრადუსზე დაბლა არასდროს ეშვება. ექიმების აზრით, ასეთი ტემპერატურის დროს ადამიანი, როგორც წესი, უნდა ბორგავდეს, ბოდავდეს, ან სულაც რეანიმაციაში უნდა იწვეს. მაგრამ ეს უცნაური ყმაწვილი თავს მშვენივრად გრძნობს, მით უმეტეს, რომ შეუძლია კანონიერ საფუძველზე გააცდინოს სკოლა!

## ტკბილი კოსმოსი

ამერიკელმა ასტრონომებმა რადიოტელესკოპის საშუალებით ჩვენი გალაქტიკის — ირმის ნახტომის — ცენტრში გაყინული შაქრის უზარმაზარი ღრუბელი აღმოაჩინეს. ტკბილი ღრუბლის ტემპერატურა მინუს 270 გრადუსია. ასეთი ყინვის დროს მოლეკულების მოძრაობა პრაქტიკულად წყდება. სამწუხაროდ, შაქრის „საბადომდე“ მიღწევა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც სინათლის სიჩქარით მოძრაობის (წამში 300 000 კმ) შემთხვევაშიც კი იქამდე მიღწევას 26 ათასი წელი დასჭირდება და უკან დაბრუნებაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ?

## გამოტყდით, რომელმა არ შეჭამეთ ბოლომდე თეფში?!

აშშ-ს აგროქიმიური ცენტრის ქიმიკოსებმა კარტოფილის სახამებლისგან დამზადებული საჭმელად ვარგისი ერთჯერადი ჭურჭელი გამოიგონეს. სპეციალური დანამატების წყალობით გაზიანი სასმელის ჭიქას ამ სასმელის გემო, ლამბაქს კი, რომელზეც მარწყვიანი ნამცხვარი დევს — მარწყვის გემო აქვს. ჭამის დამთავრების შემდეგ იმას, ვისაც სურვილი ექნება, შეუძლია ბოლოს „ჭუჭყიანი ჭურჭლით“ ჩაიტკბარუნოს პირი.

## პლანეტის ტოლი ალმასი

ამერიკელმა ასტრონომებმა მიაკვლიეს ალმასს, რომლის დიამეტრია 1500 კილომეტრია. შედარებისთვის: დედამიწაზე, სამხრეთ აფრიკაში, ნაპოვნი ყველაზე დიდი ალმასი მუშტის ოდენა იყო. სამწუხაროდ, მეცნიერების მიერ აღმოჩენილი ალმასი დედამიწიდან 500 ტრილიონი კილომეტრის მანძილზე, ცენტავრის თანავარსკვლავედშია. ოდესღაც გიგანტური ალმასი ვარსკვლავი ყოფილა და მზესავით ანათებდა. ახლა ამ ვარსკვლავისგან მარტო ბირთვი დარჩა, რომელსაც ასტრონომები „თეთრ ჯუჯას“ ეძახიან; ამბობენ, რომ 5 მილიარდი წლის შემდეგ მზეც ჩაქრება და ალმასად გადაიქცევა.

## კონცერტი მიკროსკოპის ქვეშ

ბიოლოგებმა მძლავრი აპარატურის მეშვეობით გაიგონეს ხმები, რომელსაც ცოცხალი უჯრედები გამოსცემენ. თუ ცდების შედეგი დადასტურდება, ეს აღმოჩენა რევოლუცია იქნება მედიცინაში. როგორც გამოირკვა, ჯანმრთელი უჯრედები სხვანაირად „მღერიან“, ვიდრე ავადმყოფები. ისე, რომ მალე ექიმებს შეეძლებათ ხმის მიხედვით დასვან დიაგნოზი და აირჩიონ მკურნალობა.



ხალხური ზღაპარი

# ხუთი გოჭის ამბავი

იყო ერთი ღორი, ჰყავდა ხუთი გოჭი: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა.

დილით ადრე დედა ღორი გამოვიდოდა თუ არა საღორიდან, ღრუტუნით გასწევდა საჭმლის საძებნელად. დინგით თხრიდა მიწას, ჭამდა ბალახს, ფოთლებს, პურის ნატეხებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს. მინდვრის თაგვებსაც ცუდ დღეს აყენებდა, მიაგნებდა მათ სოროებს და თავისი დინგით მიანგრ-მოანგრევდა.



ერთხელ როცა, ღორი მიწას ჩიჩქნიდა, თავთავებით გაჭედილი თაგვის სორო იპოვა. გახარებული სათითაოდ იღებდა გემრიელი ხორბლის თავთავს და მადიანად აკნატუნებდა. ამ დროს თავს წაადგა მშიერი მგელი.

— გამარჯობა, ღორო! — დაიყმუვლა მგელმა. ღორი ამ ხმის გაგონებაზე შეკრთა, ჯაგარი ყალყზე დაუდგა.

— რას აკეთებ, ღორო, რას ჩიჩქნი მიწას, რას ეძებ? — შეეკითხა მგელი.

— რას ვაკეთებ და , აი, თაგვის სორო ვიპოვე, სულ თავთავებით არის გატენილი, მსუნაგ თაგვს ჩაუზიდავს ზამთრის საზრდოდ. ახლა მე მივაგენი და იმას გეახლებით. თუ ინებებთ, კარგ მსუქან თავთავს მოგართმევთ.

— რაო? — დაიღრიალა მგელმა. — გინდა, ფხა ყელში გამეჩხიროს და დავიხრჩო? მე გაყურებინებ სეირს! საწყალ თაგვს ერთი სორო თავთავი ძლივს მოუგროვებია, შენ კი დასდგომიხარ და ჭამ? ის შიმშილით უნდა მოკვდეს, შენ კი შვილები დაასუქო და მუცელი გამოიძღო? ამისათვის უნდა შეგჭამო, შე ღორმუცელავ, შენა!

ღორი მიხვდა, რომ თუ რამეს არ მოახერხებდა, მისი საქმე ცუდად იყო. ამიტომ თავი მოისაწყლა — თქვენი ნებაა, რასაც მიზამთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე ძალიან დიდი ხნისა გახლავართ, ტყავი გამიმაგრდა, ხორციც დამიმჭლევდა, სიმსუქნე, რაც მქონდა, სულ ჩემმა ხუთმა გოჭმა გამომწოვა. მე რა გემო უნდა ჩამატანო? წამობრძანდით ჩემთან, ხუთი გოჭი მყავს: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა. ხუთივე ისეთი მსუქანია, რომ სულ ქონი გასდით. მობრძანდით, რომელიც მოგეწონოთ, ის წაიყვანეთ!



სად გოჭების ხორცი და სად ბებერი ღორისაო, — იფიქრა მგელმა და ღორს უთხრა: — მაშ, კარგი, შენ წინ წადი და მეც მოვალ, იცოდე, თუ მომატყუე, ცუდად იქნება შენი საქმე!

ღორი დაბრუნდა შვილებთან, უამბო მათ, რაც გადახდა და დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მგელი რომ მოვიდოდა.

კარგად რომ ჩამობნელდა, ღორმა კარი მაგრად ჩაკეტა. მოვიდა მგელი და საღორის კარზე დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — იკითხა ღორმა, ვითომ აქ არაფერიაო.

— მე ვარ, ღორო, კარი გამიღე! — შეჰკმუვლა მგელმა.

— არაფერსაც არ გაგიღებ, დაიკარგე მანდედან! — გასძახა ღორმა.

რაკი ღორმა ასეთი პასუხი მისცა, ახლა მშიანას დაუძახა: — მშიანა, კარი გამიღე!

— ჯერ მშია, ძუძუსა ვწოვ. შენთვის არ მცალია! — გასძახა მშიანამ.

— მცივანა, კარი გამიღე! — შესძახა მგელმა ახლა მცივანას.

— მცივა, — უპასუხა მცივანამ, — კარის გასაღებად არა მცალია.

— თბილანა, კარი გამიღე! — შეჰყმუვლა მგელმა თბილანას.

— შენ საქმე გამოგლევია, ძლივს თბილად ჩავწექი და შენი გულისათვის ახლა გვერდებს გავიცივებ? — უპასუხა თბილანამ.

— გვიანა, კარი გამიღე! — შესძახა მგელმა გვიანას.

— გვიან გეღირსება კარის გაღება, დაიკარგე მანდედან! — გამოსჭყვიტინა გვიანამ.

რაკი კარი არავინ გაუღო, მგელი საშინლად გაბრაზდა, მაგრამ ერთხელ კიდევ სცადა და მაგარას დაუძახა:

— მაგარა, კარი გამიღე!

— მაგრადაა დაკეტილი, არ გაიღება, — გამოსძახა მაგარამ, — სჯობია საიდანაც მოსულხარ, იქვე მიბრძანდე!

მგელი საშინლად გაბრაზდა.

— დაიცათ, თუ სულ არ გადაგულაპოთ! კარი გამიღეთ ჩქარა! — ყმუოდა მგელი, მაგრამ კარს არავინ უღებდა.



მაშინ მგელმა სცადა, თვითონ გაეღო კარი, მაგრამ ვერაფერს გახდა.

და რაკი მეტი ღონე არ იყო, ისევ მშიერი წალასლასდა თავისი ბუნაგისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტიქია და ადამიანი

დედამიწის სხვადასხვა კუთხეს დროდადრო თავს ატყდება სტიქიური უბედურება,რასაც ხშირად ნგრევის გარდა, ადამიანთა დიდი მსხვერპლიც მოსდევს შედეგად და მთელი მსოფლიო შეძრა ტელევიზიით ნანახმა კადრებმა, რომელზეც ინდონეზიაში და მიმდებარე კუნძულებზე მომხდარი საშინელი ძალის ცუნამის მოქმედება და მისი შედეგები იყო აღბეჭდილი. ახლახან კი განუწყვეტელი კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის და მეწყერების შედეგები ჩვენც ვიწვნიეთ საქართველოში. მაინც რა არის სტიქია? რატომ მძვინვარებს ის პერიოდულად? შეიძლება თუ არა მისი შემოტევის თავიდან აცილება?

## ბუნება სიცოცხლის წყაროა

ჩვენ გარშემო არსებული ბუნება სიცოცხლის წყაროა. ყვავილები და ხეები მზისკენ ისწრაფვიან. მიწა მდინარის კალაპოტის გაყოლებაზე ან ვულკანის ძირში ნოყიერია. მაგრამ თუ მეტისმეტად დიდი წვიმები მოდის, ან თუ მზე ირგვლივ ყველაფერს წვავს, მცენარეები იღუპებიან, წყალდიდობებსა და ვულკანის ამოფრქვევას კი მთელი სოფლებისა და ქალაქების წალეკვა-დანგრევა შეუძლია.



მიწისძვრები, წყალდიდობები, ხანძრები, ვულკანების ამოფრქვევა, ტროპიკული ციკლონები, მეწყერები, გვალვები, მავნებელთა შემოსევები ისეთივე ბუნების მოვლენებია, როგორიც მზის სინათლე ან წვიმა, მათი წარმომავლობის ასახსნელად ადამიანები უძველესი დროიდან ქმნიდნენ ათასგვარ ლეგენდებს, დღეს კი მეცნიერება და ისტორია გვეხმარება უკეთესად ჩავწვდეთ იმ მოვლენებს, რომლის მოწმენიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვართ.

## რა არის სტიქიური უბედურება

ადამიანისთვის საშიშ ბუნებრივ მოვლენას, რომელსაც სტიქიური უბედურება ეწოდება, ისეთი მოვლენა წარმოადგენს:

· რომელსაც მნიშვნელოვანი სიძლიერე გააჩნია.
· რომელიც ხდება იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ.
· რომელიც მოულოდნელად ატყდება თავს ადამიანებს და რომლის შედეგები განუჭვრეტელი, დამღუპველი და გამანადგურებელია.

## სტიქიურ მოვლენათა მიზეზები

ბუნება თუ ადამიანი?

სტიქიურ უბედურებათა მიზეზი შეიძლება გახდეს არამარტო ანომალური (ჩვეულებრივი ნორმისგან ძალზე გადახრილი) ბუნებრივი მოვლენები. ზოგიერთი მოვლენა, რომელიც „ბუნებრივად" გვეჩვენება, სინამდვილეში ადამიანის საქმიანობით არის გამოწვეული. თუ ძალზე იშვიათად ან ძალზე ხშირად წვიმს, ამას შეიძლება გვალვა ან წყალდიდობა მოჰყვეს, მაგრამ გვალვისა და წყალდიდობის მიზეზი შეიძლება ისიც გახდეს, რომ ჩვენ დაუფიქრებლად ვეპყრობით ბუნებას, არ ვუფრთხილდებით მიწას. თუ ადამიანები მოიხმარენ მეტისმეტად ბევრ წყალს ან იმაზე მეტ ხეებს ჭრიან, ვიდრე ამის ანაზღაურება ბუნებას შეუძლია, მიწა უნაყოფო და უსიცოცხლო ხდება, მას ტენის შეწოვა აღარ შეუძლია.

როდესაც ტყეებს ვჩეხთ ან ვანადგურებთ მთის ნაზ მცენარეულობას, ამით ჩვენ ვსპობთ იმ ბუნებრივ ბარიერებს, რომლებსაც ჩვენი ცუნამისგან, გვალვისგან, მეწყერისგან და სხვა კატასტროფებისგან დაცვა შეუძლია.

## კი ნუ გეშინია, უმჯობესია მზად იყო!

იმედია, შენთვის უკვე ცხადი გახდა, რომ ბუნება ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე, ადამიანები კი — ბუნებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უსაფრთხოება ჩვენზევეა დამოკიდებული. ჩვენ თვითონვე შეგვიძლია შევამციროთ კატასტროფების ზემოქმედება ჩვენს ცხოვრებაზე. ამისათვის კი აუცილებელია შევისწავლოთ ისინი, მზად ვიყოთ მათთვის.

შესწავლა საკუთარი სოფლის თუ ქალაქის ისტორიის ცოდნას გულისხმობს. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ უფროსებს — მშობლებს, მეზობლებს, მასწავლებლებსა და ნათესავებს, ადამიანებს, რომელთაც უნახავთ და გადაუტანიათ წყალდიდობა, მეწყერი თუ სხვა სტიქიური უბედურება. რა თქმა უნდა, ბევრს შეგძენთ სათანადო ლიტერატურის წაკითხვა, ეს დაგეხმარებათ გაეცნოთ დედამიწის წიაღში მიმდინარე პროცესებს, კლიმატურ მოვლენებს და მათ ზემოქმედებას გარემოზე. ძალიან კარგი იქნება, თუ ყველაფერს, რაც თქვენ უკვე იცით, ან მომავალში გაიგებთ სტიქიური მოვლენების შესახებ, თქვენს ნაცნობ-მეგობრებსაც გაუზიარებთ და უამბობთ.

ტესტი

# გენიოსი ხართ, თუ?..

1. ამ ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემისას გახსოვდეს, რომ უნდა ჩაიწეროს პირველივე გონივრული ვერსია, რომელიც 30 წამში მოგაფიქრდება.

1. პროფესორი საღამოს 8 საათზე წვება დასაძინებლად, მაღვიძარას კი დილის 9 საათზე აყენებს. რამდენს იძინებს პროფესორი?

2. შეუძლია თუ არა მამაკაცს საკუთარი ქვრივი შეირთოს ცოლად?

3. არის თუ არა 8 მარტი ავსტრალიაში?

4. მამედს ათი ცხვარი ჰყავდა. მოუკვდა ყველა, 9-ის გარდა. რამდენი ცხვარი დარჩენია მამედს?

5. შენ თვითმფრინავის პილოტი ხარ, რომელიც თბილისიდან პარიზში მიფრინავს და ორჯერ უნდა დაჯდეს ალჟირში. რამდენი წლის არის პილოტი?

6. საზოგადოდ ყოველი თვე 30 ან 31 რიცხვით მთავრდება. რომელ თვეშია 28 რიცხვი?

7. შენ ნაკლებად ნაცნობ ოთახში შედიხარ. ოთახში ბნელა და შიგ ორი ლამპა დგას: გაზისა და ბენზინის, რას აანთებ პირველ რიგში?

8. ერთი მატარებელი თბილისიდან ბათუმში მიდის, მეორე ბათუმიდან თბილისში, ისინი ერთდროულად გამოვიდნენ, მაგრამ პირველი მატარებლის სიჩქარე სამჯერ აღემატება მეორისას. რომელი მატარებელი უფრო შორს იქნება თბილისიდან მათი შეხვედრის მომენტში?

9. მამა-შვილი კატასტროფაში მოხვდა. მამა საავადმყოფოში გარდაიცვალა. შვილთან პალატაში შედის ქირურგი და აცხადებს: „ეს ჩემი შვილია“. შეიძლება თუ არა, რომ ეს სიტყვები მართალი იყოს?

10. არქეოლოგებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 35 წლით დათარიღებული მონეტა იპოვეს. შესაძლებელია, თუ არა ეს?

11. ხელებზე ათი თითია. რამდენი თითია ათ ხელზე?

12. რამდენი ცხოველი ჩაისვა ნოემ თავის კიდობანში?

13. ექიმმა ავადმყოფს სამი ნემსი გამოუწერა, თითო-თითო ყოველ ნახევარ საათში. რამდენი დრო დასჭირდება ყველა ნემსის გაკეთებას?

14. რამდენი ცხრიანია 1-დან 100-მდე რიცხვთა რიგში?

15. მარტოხელა ღამის დარაჯი დღისით გარდაიცვალა. მისცემენ თუ არა მას პენსიას?

16. ენთო 7 სანთელი. 3 ჩაქრა. რამდენი სანთელი დარჩა?

17. აგური იწონის 1 კგ. პლუს კიდევ ნახევარი აგური. რამდენს იწონის აგური?

18. როგორი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი წვიმაში?

## ახლა კი დაითვალე არასწორი პასუხები და დაადგინე ვინ ხარ

0-1 გენიოსი

2-4 ინტელექტუალი

5-6 ნორმალური ადამიანი

7-8 რიგითი იდიოტი

9-10 რიგითი იდიოტი გვერდითი გადახრებით

11-13 აბსოლუტური იდიოტი

14-15 არ გაგაჩნია აზროვნების უნარი

16-18 საჭიროა შენი საზოგადოებისგან იზოლირება.

## სწორი პასუხები

1. ერთი საათი (მაღვიძარა ვერ არჩევს სად დილაა და სად საღამო). 2. არა (ქვრივი ხომ ის ქალია, ვისაც ქმარი მოუკვდა). 3. არის. 4. ცხრა. 5. თვითმფრინავის პილოტი შენ ხარ (პილოტი იმდენი წლისაა, რამდენისაც შენ). 6. ყველა თვეში. 7. ასანთს. 8. ერთნაირად იქნებიან (შეხვედრის მომენტში მატარებლები ერთ წერტილში იმყოფებიან). 9. კი, ქირურგი ამ ბიჭის დედაა. 10. არა. იმ დროში მონეტებზე მოჭრის თარიღს არ აწერდნენ. 11. ორმოცდაათი. 12. ყოველი სულდგმული წყვილ-წყვილად. 13. ერთი საათი. 14. ოცი. 15. არა, ის ხომ გარდაიცვალა. 16. სამ (სამი ჩაქრა, დანარჩენი კი დაიწვა). 17. 1 კგ. 18. სველი ბუჩქის ძირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარილი რომ არ ყოფილიყო, კოლუმბი ამერიკას ვერ აღმოაჩენდა



სამხრეთ ამერიკაში დღესაც, ისე როგორც მრავალი საუკუნის წინათ, ზღვის წყლიდან გამოხდილი მარილი უდაბნოს გავლით სახედრებით გადააქვთ.

ოდესღაც მარილი ისევე ძვირფასი იყო, როგორც ოქრო. ის იმ ადამიანთა სიმდიდრესა და ძლიერებაზე მეტყველებდა, ვინც მას ფლობდა. მარილი ხომ ადამიანისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ჩვენს ორგანიზმში მხოლოდ მაშინ ხდება ნივთიერებათა სწორი ცვლა, როცა ჩვენ მუდმივად ვღებულობთ მარილს.

მრავალი ათასი წლის წინათ, ადამიანები მხოლოდ ნანადირევი ხორცით იკვებებოდნენ, ამასთან მათ მარილის დამატება სულაც არ სჭირდებოდათ, იმიტომ, რომ ის ხორცში ისედაც საკმარისადაა. მაგრამ მერე და მერე ადამიანი მცენარეულ საჭმელს მიეძალა და ორგანიზმს მარილი აღარ ჰყოფნიდა. კაცობრიობა მისი მოპოვების აუცილებლობის წინაშე დადგა. იქნებ ზღვის წყლიდან შეიძლება მისი მოპოვება? მას ხომ მლაშე გემო აქვს. მართლაცდა ზღვებისა და ოკეანეების წყალში იმდენი მარილია, რომ მისგან კილომეტრიანი დიამეტრისა და დედამიწიდან მთვარემდე მანძილზე 47-ჯერ უფრო მაღალი სვეტის აგება შეიძლება! ადამიანებმა დაიწყეს პატარ-პატარა ტბორებში ზღვის წყლიდან მარილის აორთქლებით მიღება. ამგვარი ხერხი მხოლოდ ცხელი ჰავის ადგილებისთვის, მაგალითად, ეგვიპტისთვისვარგოდა, იმის გამო, რომ სიცივეში წყალი მეტისმეტად სწრაფად ორთქლდება, გრილ ადგილებში ამ გზით მარილის მოპოვება შეუძლებელია და აი 3000 წლის წინათ კელტებმა, რომლებიც იმ დროს ცენტრალურ ევროპაში სახლობდნენ, აღმოაჩინეს, რომ მარილი მიწის ქვეშაც ყოფილა! დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ დაახლოებით 3000 მილიონი წლის წინათ ევროპის ნაწილი ოკეანის ფსკერი იყო. მერე წყალმა უკან დაიხია, მარილი კი დარჩა. მის ზევიდან ნიადაგის ფენა დაილექა.

თავიდან კელტები მარილს მთებში



მარილის მომპოვებელი თანამედროვე კომბაინი მიწისქვეშა მარილიან შრეებში გამოჭრილ მაღაროში მუშაობს.

გაჭრილ შტოლნებში მოიპოვებდნენ. მერე კი მარილის ბუდობების წყლით გადარეცხვაზე გადავიდნენ. მარილიან ხსნარს ისინი უზარმაზარ ტაფებზე აშრობდნენ და ასე ხდიდნენ მარილს. მაგრამ მარილი მაინც არ კმაროდა და ამის გამო მას დიდი ფასი ედებოდა. „თეთრ ოქროს" ხომ მარტო საჭმელში არ ხმარობდნენ, დამარილება სურსათის დიდი ხნით შენახვის ერთადერთი საშუალება იყო. კასრებში ამარილებდნენ ხორცს, თევზს, ბოსტნეულს. სხვათა შორის, დამარილებული სურსათის მარაგის გარეშე ზღვაოსნები შორეულ ლაშქრობებს ვერ წამოიწყებდნენ და შესაბამისად, არც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები იქნებოდა. შუა საუკუნეებში მარილით ვაჭრობა ძალიან სარფიანი საქმე გახდა. მოხერხებული ვენეციელი ვაჭრები ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე იაფ მარილს ყიდულობდნენ და ბევრად უფრო მაღალ ფასებში ჰყიდდნენ მთელ ევროპაში.

მარილი მხოლოდ 200 წლის წინათ გაიაფდა, მას შემდეგ, რაც მარილის მოსაპოვებლად მძლავრი მანქანების გამოყენება დაიწყეს. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში დღეს 200 მილიონ ტონა მარილს მოიპოვებენ. აქედან საჭმლისთვის მხოლოდ მესამედია განკუთვნილი, დანარჩენს კი საპნის, ქაღალდის, მინის, პლასტმასის საწარმოებლად იყენებენ. თითოეული თქვენგანის ოჯახშიც კი მარილს მარტო შემწვარ კარტოფილზე მოსაყრელად არ იყენებენ. ერთი მწიკვი მარილი თქვენს დედებს ნაღების უკეთესად და უფრო სწრაფად ათქვეფაში, ტანსაცმელზე ლაქების ამოყვანაში ეხმარება. ხოლო თუ ლარნაკში წყალს ცოტაოდენ მარილს დაუმატებთ, ყვავილები კარგახანს არ დაჭკნება. დიახ, დღეს მარილი ბევრად იაფია ვიდრე ოქრო, მაგრამ მასზე ბევრად უფრო საჭიროცაა.



პერუელები ზღვის წყალს პატარ-პატარა ხელოვნური აუზებისკენ უშვებენ და აორთქლებას აცდიან მას. აორთქლების შემდეგ ფსკერზე რჩება თეთრი ფხვნილი-გამოხდილი მარილი.



# ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისთვის



1. გერმანიის ქალაქ მანჰაიმში 1817 წელს სასახლის პარკში მოსეირნეებმა ხის უცნაურ მოწყობილობაზე მჯდარი თანამოქალაქე შენიშნეს. მოწყობილობა დღევანდელი ველოსიპედის წინაპარი იყო, მისი გამომგონებელი კი გახლდათ...

ა) ბარონი კარლ ფონ დრაიზი.
ბ) ჟან ეიფელი.
გ) მარკ ბრიუნელი.



2. VII საუკუნეში ვენეციელების მიერ შექმნილ ამ სამხედრო ნიჩბებიან ხომალდს ერქვა...

ა) ბრიგანტინა.
ბ) გალერა.
გ) იახტა.



3. XVIII საუკუნის ინდური არქიტექტურის რომელი ძეგლია აღბეჭდილი ამ სურათზე და როგორ ითარგმნება მისი სახელწოდება?

ა) ჯაჰანგირის სასახლე.
ბ) აკბარის მავზოლეუმი.
გ) ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი.



4. „რკინიგზის მამის" სახელით შევიდა ისტორიაში ორთქლმავლის გამომგონებელი...

ა) ჯორჯ სტეფენსონი.
ბ) ფელიქს იასინსკი.
გ) ბენჯამინ ბეიკერი.



5. ეს გადახრილი კოშკი მდებარეობს იტალიის ქალაქ...

ა) ვენეციაში.
ბ) პარმაში.
გ) პიზაში.


## ინგლისური ენის სკოლა-სტუდია გთავაზობთ

ინგლისური ენის შესწავლას თქვენთვის საჭირო ინდივიდუალური პროგრამით. სწავლის პროცესში გამოიყენება თანამედროვე ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალით.

სწავლება მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად (ჯგუფში მაქსიმუმ 3-4 მოსწავლე), ისე ინდივიდუალურად.

**მიიღება ნებისმიერი ასაკის მსურველი.**

**ტელ: 899 10-49-91. 98-99-81. 93-18-84.**

1 ამ ტალონის წარმოდგენისას ინგლისური ენის შესწავლის მსურველს ეძლევა გადასახადის 10%-იანი, 2 ტალონის – 20%-იანი, 3 ტალონის – 30%-იანი შეღავათი.

# სიცილის გაკვეთილი

* * *

— ტომ, რა ატირებს შენს ძმას? — ჰკითხა დედამ შვილს.

— ის ატირებს, რომ ჩემს ნამცხვარსა ვჭამ და მაგას კი არ ვაჭმევ, — უპასუხა ტომმა.

— თავისი ნამცხვარი რაღა უყო?

— ეჰ, ეგ მაშინაც ტიროდა, როცა მაგის ნამცხვარს ვჭამდი.

* * *

პოლიციელმა კაცი დააკავა და გვარი და სახელი ჰკითხა:

— ჯონ სმითი, — უთხრა დაკავებულმა.

— თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი მიბოძეთ! — უბრძანა პოლიციელმა.

— რას იზამ, — მიუგო დაკავებულმა, — ჩაწერეთ, რომ უილიამ შექსპირი ვარ.

— ასე არ ჯობია? — უთხრა პოლიციელმა. — გეგონათ მომატყუებდით?



* * *

— იცი, მამა ცირკში რა ვნახე? ერთი კაცი ცხენს ზურგზე ახტებოდა, მერე ძირს ჩამოსრიალდებოდა, მერე კუდზე ებღაუჭებოდა და ბოლოს კისერზე მოექცეოდა.

მამა: — ეგ ადვილია, შვილო, ეგ ყველაფერი, მე ცხენზე რომ პირველად შევჯექი, მაშინ გავაკეთე.

* * *

კაცმა მდინარის პირას მეთევზე დაინახა და ხიდიდან ჩასძახა:

— როგორ მიგდით საქმე, ბედი თუ გიმართლებთ?

— მიმართლებს, რომელია! გუშინ აქ ერთი ორმოცი ქარიყლაპია მაინც დავიჭირე.

— აჰა! ის თუ იცით, მე ვინა ვარ?

— არა, — მიუგო მეთევზემ.

— მე მთავარი მოსამართლე გახლავართ და ეს მამულიც მე მეკუთვნის!

— კეთილი, მაგრამ თქვენ თუ იცით, მე ვინღა ვარ?! — კითხვაზე კითხვით უპასუხა მეთევზემ.

— არა...

— ყველაზე დიდი მატყუარა მთელ ქვეყანაზე.

* * *

„ახალი რუსების“ შვილები თავს იწონებენ:

— გეოგრაფიაში მიღებული ხუთიანისთვის მამაჩემმა კანარის კუნძულებზე ვილა მაჩუქა.

— დიდი ამბავი, ჩემებმა იმდენი გადაიხადეს ჩემი ფიზიკის საკონტროლოში, რომ ნაწერი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი!

* * *

— რა არის, რა საშინლად იცვამს თანამედროვე ახალგაზრდობა! აი, თუნდაც ეს ბიჭი.

— ეს ჩემი ქალიშვილი გახლავთ.

— მაპატიეთ, არ ვიცოდი, თუ თქვენ მისი მამა იყავით.

— მე მისი მამა კი არა, დედა ვარ!

* * *

დილით პიერი სკოლაში წასასვლელად ემზადება. წიგნები გაყრილი აქვს, ჩანთა ჩასალაგებელი. ყველაფერი ეზარება, ბუზღუნებს:

— დედა, იცოდე, იმ სკოლაში აღარ წავალ. იქ ბოროტი მასწავლებლები არიან, ბავშვებიც სულ ჩხუბობენ.

— რას იზამ, შვილო, მაინც უნდა იარო სკოლაში, ისე როგორ იქნება. ნუ ბუზღუნებ, ჩანთა ჩაილაგე და წადი.

— არა, არ შემიძლია, არ მინდა!

— პიერ, უნდა წახვიდე! ჯერ ერთი, ექვსი წლისა აღარა ხარ, მეორეც, რაც არ უნდა იყოს, სკოლის დირექტორი ხარ!

* * *

მასწავლებელმა ვოვა სიგარეტის წევისას „ჩაავლო“ და მეორე დღისთვის მამა დაუბარა.

— ბატონო ჩემო, იცით, თქვენი ბიჭი სკოლაში „ასტრას“ ეწეოდა.

მამა აღშფოთდა:

— რა ჯანდაბად გინდა ეს „ასტრა“? ჩემი ხელით არ ჩაგიდე „მალბორო“ ჩანთაში?„

* * *

ოტო ატირებული ბრუნდება სკოლიდან:

— დედა, ერთმა უფროსკლასელმა მცემა.

— მოდი, მოგეფერო, შვილო! თავხედი, როგორ გაბედა! რამე რომ იყოს, იცნობ?

— ახლა იმას ყველა იცნობს, მისი ცალი ყური აქა მაქვს, ჯიბეში.

# იწილო — ბიწილო

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**ჰორიზონტალურად:** 1. ანბანის შემადგენელი ნაწილი. 3. სახელმწიფო აფრიკაში. 4. მდინარე აფრიკაში. 6. ცნობილი ილუზიონისტი. 8. სითხის გამწოვი ხელსაწყო. 13. მდინარე აფხაზეთში. 14. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. 18. მდინარე ევროპაში. 23. საბერძნეთის დედაქალაქი. 26. საქართველოს სახალხო გმირი. 27. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში; 28. საყვირი ანუ... 29. სიცივის პოლუსი. 31. ტაძარი ტაო-კლარჯეთში. 32. გეომეტრიის ერთ-ერთი ცნობილი თეორიის შემქმნელი. 33. სახელის და გვარის აღნიშვნა საწყისი ასოებით.

**ვერტიკალურად:** 1. კურორტი სომხეთში. 2. უფროსი თანამდებობის პირთა საერთო სახელწოდება არმიაში. 3. ესპანეთის დედაქალაქი. 5. უდმურტიის დედაქალაქი. 6. ქალაქი ინდოეთში. 7. ბერძნული ანბანის ბოლო ასო. 8. ციმბირის ერთ-ერთი მხარე. 9. თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა. 10. უდიდესი მდინარე აზიაში. 11. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში. 12. ცნობილი რუსი ავიაკონსტრუქტორი. 15. დამხმარე თეორემა მათემატიკაში. 16. ლიტერატურული ჟანრი. 17. სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური მიმართვის ფორმა. 19. ნორვეგიელი მოგზაური. 20. მწვერვალი კავკასიონზე. 21. ოპერა „ჯამბაზების“ მომქმედი პირი. 22. საგმირო თქმულება. 23. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარი. 24. ძალა, მხნეობა ანუ... 25. ხელნაწერი დედნის გადაღება. 30. კოსმეტიკაში გამოყენებული საღებავი. 32. საწევრო, წილი ანუ?



## იპოვეთ 10 განსხვავება



## გეოგრაფიული ჩაინვორდი



1.2. ქალაქები ციმბირში. 3. მდ. ციმბირში. 4.5. ნახვარკუნძულები აზიაში; 6. მდინარე ჩინეთში. 7. სახელმწიფო აზიაში. 8. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე. 9. ქალაქი თურქეთში. 10. მდინარე საქართველოში. 11. ქალაქი რუსეთში. 12. მდინარე ჩრდილო ამერიკაში. 13. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. 14.15. სახელმწიფოები აზიაში. 16. მწვერვალი კავკასიონზე. 17. სახელმწიფო ევროპაში.

# საქართველოს მომავალი



ე. თაყაიშვილის სახ. №2
გიმნაზია, II კლასი,
ხელმძღვანელი ეკა გოგილაშვილი



ე. თაყაიშვილის სახ. №2
გიმნაზია, III კლასი,
ხელმძღვანელი ნინო [illegible]



ე. თაყაიშვილის სახ. №2
გიმნაზია, I კლასი,
ხელმძღვანელი თინათინ დოლიძე



ე. თაყაიშვილის სახ. №2
გიმნაზია, I კლასი,
ხელმძღვანელი ქეთინო გაგოშიძე

ოლეგ გველესიანის ფოტოები



თბილისის №161-ე საშუალო
სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი ირმა ანდღულაძე



პირველკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ვერნისაჟი

**ე. თაყაიშვილის სახელობის №2 გიმნაზია**

ხ 51/10



ამ საინტერესო ნახატების ავტორი პირველკლასელი სანდრო კუპრავაა. მიუხედავად მცირე ასაკისა, სანდროს და მისი შემოქმედებას თანაკლასელებისა და ნათესავ-ახლობლების გარდა, ბევრი სხვაც იცნობს. საინტერესო ხედვისა და თავისებური შემოქმედებითი ხელწერის წყალობით, ამას წინათ გამართულ ბავშვთა გამოფენაზე სანდროს ნახატებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მისი ავტორი გამარჯვებულის დიპლომით დაჯილდოვდა.







ნინო ოქრომჭედლიძე №2 გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლეა. ამის პარალელურად ნინო სწავლობს ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში, სადაც 2003 წელს უკვე დაამთავრა საესტრადო-თეატრალური განყოფილება, ამჟამად კი აგრძელებს სწავლას სახვითი ხელოვნების განყოფილებაზე.

ნინო არის ფოლკლორული სასახლის გოგონათა ანსამბლის წევრი და ეუფლება ხალხურ ინსტრუმენტებზე (ფანდური, სალამური) დაკვრის ხელოვნებას. არის არაერთი კონკურსის ლაურეატი, როგორც ფერწერაში, ასევე მუსიკაშიც.







13 წლის გიორგი ჩანგაშვილს ორი პერსონალური გამოფენა ჰქონდა — თბილისის საგამოფენო დარბაზში „წამი“ და ქ. თელავის გალერეაში. მონაწილეობა აქვს მიღებული შავი ზღვის და ტექნიკურ უნივერსიტეტებში, საგამოფენო დარბაზ „ორიენტში“ მოწყობილ გამოფენებში. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ერევანში, ბათუმში, ქუთაისში, მოსკოვში, ჟენევაში, თეირანში, ჩეხეთის ქალაქ ლიდიცეში, აგრეთვე ბელგიასა და ჰოლანდიაში. 2001 წ. გახდა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.







გიორგი ფოფხაძემ ხატვის სწავლა ხელოვნების გიმნაზიის ხატვის წრეში დაიწყო, მერე კი №1 საბავშვო სამხატვრო სკოლის მოსწავლე გახდა. მონაწილეობა აქვს მიღებული 20-მდე გამოფენაში, ქარვასლაში გამართულ ბავშვთა ნახატების გამოფენაში „აჯღა-ბუჯღა“, თელავში მოწყობილ გამოფენაში „ოქროსფერი კახეთი“, თეატრალურ სარდაფში გამართულ მ. დედიშვილისა და მ. ძინძლაძის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაში, სხვადასხვა დროს ორგანიზებულ თემატურ გამოფენებში. ფერთა შეხამებით და ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით გამორჩეული მისი ნამუშევრები წარმოდგენილი იყო საფრანგეთში გამართულ ჯგუფურ საერთაშორისო გამოფენაზე. გიორგის პირველი პერსონალური გამოფენა კი გაიმართა კლუბში „წამი“. მიღებული აქვს მრავალი სიგელი, დიპლომი და სხვა ჯილდო.



